სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 7 ივლისი 1998 №113 (648) ფასი 50 თეთრი

წილისყრამ წარსულს შეგვახვედრა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ევროპა ხოჯა

„დინამოს“ ალბანური „ვლაჟნია“ შეხვდა

UEFA CUP

წითელი ვარსკვლავი

„კოლხეთს“ „ცრვენა ზვეზდა“ დაეჯახა

UEFA Cup Winners' Cup

ბელგრადელი პარტიზანები

ბათუმში ჩავლენ

ქართველებს არავისი ეშინიათ

ვერაფერს იტყვი, საქართველოს ჩემპიონს „ბათუმთან“ და „კოლხეთთან“ შედარებით გაუმართლა — არა გვგონია, ალბანეთის ქალაქ შკოდერის „ვლაჟნია“ ის გუნდი იყოს, რომელსაც თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშვა შეეძლოს. ერთი შეხედვით „ვლაჟნია“ ჩვენებურთათვის დაძლევი ბარიერი კია, მაგრამ მერე... ბილბაოს „ატლეტიკი“ ის კლუბია, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა და მწვრთნელად ლუის ფერნანდესი ჰყავს. ღმერთმა ქნას, „დინამომ“ ბასკური გუნდი „ვლაჟნიას“ გზას გაუყენოს. ამას რა აჯობებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ესპანელები ალბანელები არ არიან. „ატლეტიკი“ დინამოელთა პირველ შეტოქეზე გაცილებით ძლიერია და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მათი გამოთიშვა ისეთივე ალბათობით შეუძლია ჩვენს ჩემპიონს, როგორითაც „ვლაჟნიას“ „დინამოსი“. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი აზრია. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ კი მომავალ მეტოქეებზე ტელინიდან ეს გვითხრა:

— „ვლაჟნიაზე“, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი. ერთი ეგაა, გავიგე, რომ გუნდი ალბანეთის ნაკრების ფეხბურთელებითაა სავსე. აქედან გამომდინარე კი, ვფიქრობ, ძლიერი მეტოქე გვეყოლება. არა აქვს დიდი მნიშვნელობა, პირველი თამაში თბილისში იქნება თუ შკოდერში. ორივეგან ბრძოლა მოგვიხდება. შიშით არც ამათი გვეშინია, არც „ატლეტიკის“. ჩვენსას ვეცდებით, ღმერთმა თუ გადმოგვხედა, საკუთარი ძალების ვირწმუნეთ და მომხვდურთ საკადრისად ვეპაექრეთ, მაშინ ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშებთ. ტალინში სერიოზულად ვეშზადებით, ჯერ ჯერობით ყველაფერი კარგადაა, ერთი ამხანაგური მატჩი უკვე ჩავატარეთ და მოლდოვის „აგრო“ 8:0 გავანადგურეთ. ამ თამაშმა, მიუხედავად ანგარიშისა, ბევრი ხარვეზი დამანახა, გუნდში ჯერ კიდევ საკმაოდაა სამუშაო. თუმცა იმედი მაქვს, 22 ივლისამდე ყველა ნაკლს გამოვასწორებთ და „ვლაჟნიასაც“ თავს შევაკლავთ. მერე კი, ალბათ, „ატლეტიკსაც“ ღირსეულად შევებრძოლებით.

მაინც და მაინც ბევრი არც ესპანელებზე ვიცი, მაგრამ წარმომიდგენია გუნდი, „რეალი“ რომ მოიტოვა, როგორიც იქნება.

მურთაზ ხურცილავასი არ იყოს, „ბათუმის“ მწვრთნელ შოთა ჭეიშვილსაც არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია ბელგრადის „პარტიზანის“ შესახებ.

— აბა, რა გითხრათ. არ ველოდი, რომ თავიდანვე დიდი საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელს გადავეყრებოდით. ნებისმიერი იუგოსლავიური კლუბი ხომ არასასურველია, თუმცა ღმერთმა და წილისყრამ „პარტიზანი“ გვარგუნა. რაღა გაეწყობა. ვეცდებით, ტრადიცია არც ამჯერად დავარღვიოთ — პირველ მეტოქეს „ბათუმი“ მუდამ უგებდა. დღეიდან ინფორმაციის შეგროვებას ვიწყებ. ალბათ, მალე გავარკვევ, „პარტიზანი“ რა გუნდია — გვითხრა შოთა ჭეიშვილიმ.

 კობა ინასარიძე

ისე არ წახდება სახნისი

იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფო საუკუნის დასაწყისში კი შეკოწიწდა, მაგრამ საუკუნის ბოლომდე ლამის ყველა ყოფილი კავშირისა არ იყოს ვერც ამან გაძლო.

ვინც ამ ქვეყანაში მოხვედრილა თუ მის შესახებ რაიმე გაუგია ყველასთვის ცხადი იყო ბალკანელები სოციალისტურ წყობაში დიადი საბჭოეთის გადამკიდე ცხოვრობდნენ, თორემ ამ ხალხის ცხოვრების სტილი საბჭოურისგან დიდად განსხვავებული გახლდათ.

თუკი კენჭისყრამ „კოლხეთს“ და „ბათუმს“ აშკარად არ გაუმართლა, ჩვენი ჩემპიონი შედარებით დაინდო. „ვლაჟნიას“ ახლანდელ შემადგენლობას 3-4 კაცი დაუმატეთ და ალბანეთის ნაკრებს აღარაფერი ეკლებაო — ასე შეაფასა წილისყრის შედეგი „დინამოს“ ვიცეპრეზიდენტმა რომან შოთაძემ.

ფეხბურთი: ბოლო იმედი

წლევანდელს ბევრს ვერას მოგახსენებთ და შარშანდელ „ვლაჟნიას“ ნაკრებში თავდამსხმელ ულიქს კოტრის გარდა არც არავინ ჰყოლია.

ალბანეთში ფინანსური პირამიდის საქმე რომ გასკდა, ამას არნახული არეულობა მოჰყვა. ჰოდა, მთავრობამაც ყველა სპორტული ასპარეზობა აკრძალა, მათ შორის ფეხბურთიც კი. თუმცა, სპორტის მეფე სახეობის ავტორიტეტმა აქაც გაჭრა და ჩემპიონატი ჯაბირ-ჯაბირ მაინც ჩამოავრდა. ჩემპიონიც გამოვლინდა ჩვენი „დინამოს“ მეტოქე შკოდერის „ვლაჟნია“.

ალბანურ ფეხბურთში „ვლაჟნიას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი უძველესია და მისი ხნის ალბანეთში კლუბი კი არა, იქნებ ქვაც აღარ გდია. შკოდერის გუნდს დიდი ხნის ისტორია კი აქვს და საკმაოდ ტიტულოვანიცაა, მაგრამ ამ მხრივ ტირანის „პარტიზანს“, „ტირანას“ თუ „ოლიმპიკს“ ბევრად ჩამოუვარდება. ეს გასაგებიცაა, „დინამოს“ მეტოქე პირველად დაარსებიდან მთელი მეოთხედი საუკუნის დაგვიანებით გაჩემპიონდა.

ჩვენი გუნდების მეტოქეთა შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე

ნახევარფინალი

დღეს

ბრაზილია — ჰოლანდია

მარსელი. 23⁰⁰

8 ივლისი, ოთხშაბათი

საფრანგეთი — ხორვატია

სენ დენი. 23⁰⁰

ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელთა ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელ მარიო ზაგალოს დღეს ჰოლანდიასთან, ცხადია, მოგების იმედი აქვს

ბურთაობა მილიარდებით



ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი ბარიზიდან

ხომ აბსურდია ფეხბურთის უბურთოდ თამაშის წარმოდგენა, ასევე წარმოუდგენელია დღეს მაღალი რანგის (საერთოდ ყველა!) სპორტული შეჯიბრება სპონსორების გარეშე. მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ასეული მილიონობით ადამიანის უსაზღვრო ინტერესი ამ ჯადოსნური თამაშისადმი მაგნიტივით იზიდავს დიდ კომპანიებს. მოკლედ, ერთს ფული სჭირდება, მეორეს იმიჯი და რეკლამა. ორივეს ინტერესი დაკმაყოფილებულია. და გაჩაღებულია ბრძოლა-კონკურენცია ფირმებს შორის: რომელი უფრო დიდ და გემრიელ ლუკმას დაითრევს — ოლიმპიურ თამაშებს თუ ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატს ანუ სოკს თუ ფიფას, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირებს თუ ფორმულა 1-ს, უიმბლდონს თუ ევროპის საფეხბურთო ბატალიებს. ბრძოლაა ყველა შესაძლო ფორმით და პრინციპით — მიზანი ამართლებს საშუალებას. ოღონდ კი სარფი ნახონ სპორტულ ბიზნესში, რომელშიც ტრილიონობით დოლარი ტრიალებს. საქმიანობის ეს სფერო ხომ იარაღთან და ნარკოტიკებთან ერთად დომინირებს მსოფლიო ბიზნესში.

იხილეთ მერვე გვერდი



REUTERS მარსელიდან

ცრვენა ზვეზდა ბელგრადი, იუგოსლავია

დაარსდა: 1945 წელს
სტადიონი: ცრვენა ზვეზდა (96 800)
ჩემპიონი: (20) — 1951; 53; 56; 57; 59; 60; 64; 68; 69; 70; 73; 77; 80; 81; 84; 88; 90; 91; 92; 95
თასის მფლობელი: (15) — 1948; 49; 50; 58; 59; 64; 68; 70; 71; 82; 85; 90; 93; 95; 96
ჩემპიონათა თასის მფლობელი: (1) — 1991
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი: (1) — 1991
პრეზიდენტი: სედმირ პეტროვიჩი
მწვრთნელი: ვლადიმირ პეტროვიჩი

პარტიზანი ბელგრადი, იუგოსლავია

დაარსდა: 1945 წელს
სტადიონი: პარტიზანი (50 819)
ჩემპიონი: (15) — 1947; 49; 61; 62; 63; 65; 76; 78; 83; 86; 87; 93; 94; 96; 97
თასის მფლობელი: (8) — 1947; 52; 54; 57; 89; 92; 94; 98
პრეზიდენტი: დარკო დიუნიჩი
მწვრთნელი: მილოშ რადაკოვიჩი

„ცრვენა ზვეზდას“ შედეგები ევროთასებზე

56-57	ჩთ	1/8	რაპიდი (ჰაარლემი, ჰოლანდია) — ცრვენა ზვეზდა	3:4, 0:2
		1/4	ცრვენა ზვეზდა — ცდნა (სოფია, ბულგარეთი)	3:1, 1:2
		1/2	ცრვენა ზვეზდა — ფიორენტინა (იტალია)	0:1, 0:0
57-58	ჩთ	1/16	დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ცრვენა ზვეზდა	0:5, 1:9
		1/8	ნორჩეპინგი (შვედეთი) — ცრვენა ზვეზდა	2:2, 1:2
		1/4	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ცრვენა ზვეზდა	2:1, 3:3
59-60	ჩთ	1/8	ცრვენა ზვეზდა — ვულვერჰემპტონი (ინგლისი)	1:1, 0:3
60-61	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი)	1:2, 0:3
62-63	უთ	1/16	რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ცრვენა ზვეზდა	1:1, 0:1
		1/8	ცრვენა ზვეზდა — ბარსელონა (ესპანეთი)	3:2, 0:1, 1:0
		1/4	რომა (იტალია) — ცრვენა ზვეზდა	3:0, 0:2
64-65	ჩთ	1/16	რეინჯერსი (შოტლანდია) — ცრვენა ზვეზდა	3:1, 2:4, 3:1
65-66	უთ	1/32	ცრვენა ზვეზდა — ფიორენტინა (იტალია)	0:4, 1:3
66-67	უთ	1/32	ცრვენა ზვეზდა — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი)	5:0, 0:2
		1/16	ვალენსია (ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა	1:0, 2:1
68-69	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — კარლ ცაისი (გდრ) +:- არ გამოცხადდა	
		1/8	სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) — ცრვენა ზვეზდა	5:1, 1:1
69-70	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)	8:0, 4:2
		1/8	ფორვერტსი (ბერლინი, გრდ) — ცრვენა ზვეზდა	2:1, 2:3
70-71	ჩთ	1/16	უიპეშტ ტოჟა (უნგრეთი) — ცრვენა ზვეზდა	2:0, 0:4
		1/8	ცრვენა ზვეზდა — არადი (რუმინეთი)	3:0, 3:1
		1/4	კარლ ცაისი (იენა, გდრ) — ცრვენა ზვეზდა 3:2, 0:4	
		1/2	ცრვენა ზვეზდა — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)	4:1, 0:3
71-72	თთ	1/16	ტატაბანია (უნგრეთი) — ცრვენა ზვეზდა	2:7, 2:1
		1/8	სპარტა (როტერდამი, ჰოლანდია) — ცრვენა ზვეზდა	1:1, 1:2
		1/4	ცრვენა ზვეზდა — დინამო (მოსკოვი, სსრკ)	1:2, 1:1
72-73	უთ	1/32	ცრვენა ზვეზდა — ლოზანა სპორტსი (შვეიცარია)	5:1, 2:3
		1/16	ცრვენა ზვეზდა — ვალენსია (ესპანეთი)	3:1, 1:0
		1/8	ტოტენჰემი ჰოთსპური (ინგლისი) — ცრვენა ზვეზდა	2:0, 0:1
73-74	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — სტალი (მილეკი, ჰოლონეთი)	2:1, 1:0
		1/8	ცრვენა ზვეზდა — ლივერპული (ინგლისი)	2:1, 2:1
		1/4	ცრვენა ზვეზდა — ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი)	0:2, 2:2
75-76	უთ	1/32	უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) — ცრვენა ზვეზდა	1:3, 1:1
		1/16	ცრვენა ზვეზდა — ჰამბურგი (გფრ)	1:1, 0:4
76-77	უთ	1/32	ლოკომოტივი (პლოვდივი, ბულგარეთი) — ცრვენა ზვეზდა	2:1, 1:4
		1/16	აუსტრია (ზალცბურგი, ავსტრია) — ცრვენა ზვეზდა	2:1, 0:1
		1/8	აეკ (ათენი, საბერძნეთი) — ცრვენა ზვეზდა	2:0, 1:3
77-78	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — სლიგო როვერსი (ირლანდია)	3:0, 3:0
		1/8	ცრვენა ზვეზდა — ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ)	0:3, 1:5
78-79	უთ	1/32	დინამო (ბერლინი, გდრ) — ცრვენა ზვეზდა	5:2, 1:4
		1/16	სპორტინგი (ხიხონი, ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა	0:1, 1:1
		1/8	ცრვენა ზვეზდა — არსენალი (ლონდონი, ინგლისი)	1:0, 1:1
		1/4	ცრვენა ზვეზდა — ვესტ ბრომვიჩი (ლონდონი, ინგლისი)	1:0, 1:1
		1/2	ცრვენა ზვეზდა — ჰერტა (ბერლინი, გდრ)	1:0, 1:2
		ფ	ცრვენა ზვეზდა — ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ)	1:1, 0:1
79-80	უთ	1/32	გალათასარაი (თურქეთი) — ცრვენა ზვეზდა	0:0, 1:3
		1/16	ცრვენა ზვეზდა — კარლ ცაისი (იენა, გდრ)	3:2, 3:2
		1/8	ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) — ცრვენა ზვეზდა	2:0, 2:3
80-81	ჩთ	1/16	ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია) — ცრვენა ზვეზდა	2:3, 1:4
		1/8	ბაზელი (შვეიცარია) — ცრვენა ზვეზდა	1:0, 0:2
		1/4	ინტერი (მილანი, იტალია) — ცრვენა ზვეზდა	1:1, 1:0
81-82	ჩთ	1/16	ჰიბერნიანსი (პაოლა, მალტა) — ცრვენა ზვეზდა	1:2, 1:8
		1/8	ბანიკი (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) — ცრვენა ზვეზდა	3:1, 0:3
		1/4	ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — ცრვენა ზვეზდა	2:1, 2:1
82-83	თთ	1/16	ლილესტრიომი (ნორვეგია) — ცრვენა ზვეზდა	0:4, 0:3
		1/8	ცრვენა ზვეზდა — ბარსელონა (ესპანეთი)	2:4, 1:2
83-84	უთ	1/32	ვერონა (იტალია) — ცრვენა ზვეზდა	1:0, 3:2
84-85	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია)	3:2, 0:2
85-86	თთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — არაუ (შვეიცარია)	2:0, 2:2
		1/8	ლუნგბიუ (დანია) — ცრვენა ზვეზდა	2:2, 1:3
		1/4	ცრვენა ზვეზდა — ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი)	0:2, 1:1
86-87	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)	3:0, 1:2
		1/8	რუსენბორგი (ნორვეგია) — ცრვენა ზვეზდა	0:3, 1:4
		1/4	ცრვენა ზვეზდა — რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	4:2, 0:2
87-88	უთ	1/32	ცრვენა ზვეზდა — თრაკია (პლოვდივი, ბულგარეთი)	3:0, 2:2
		1/16	ცრვენა ზვეზდა — ბრიუგე (ბელგია)	3:1, 0:4
88-89	ჩთ	1/16	დანდალკი (დუბლინი, ირლანდია) — ცრვენა ზვეზდა	0:5, 0:3
		1/8	მილანი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა 1:1, 1:1 პენ. 4:2	
89-90	უთ	1/32	გალათასარაი (თურქეთი) — ცრვენა ზვეზდა	1:1, 0:2
		1/16	ცრვენა ზვეზდა — ჟალგირისი (ვილნიუსი, სსრკ)	4:1, 1:0
		1/8	ცრვენა ზვეზდა — კიოლნი (გფრ)	2:0, 0:3
90-91	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია)	1:1, 4:1
		1/8	ცრვენა ზვეზდა — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)	3:0, 1:1
		1/4	ცრვენა ზვეზდა — დინამო (დრეზდენი, გდრ)	3:0, 2:1
		1/2	ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) — ცრვენა ზვეზდა	1:2, 2:2
		ფ	ცრვენა ზვეზდა — მარსელი (საფრანგეთი) 0:0 პენ. 5:3	
91-92	ჩთ	1/16	ცრვენა ზვეზდა — პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)	4:0, 4:0
		1/8	ცრვენა ზვეზდა — აპოლონი (ლიმასოლი, კვიპროსი)	3:1, 2:0
		ჯგ	ცრვენა ზვეზდა — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)	1:0, 0:0
		ჯგ	ცრვენა ზვეზდა — ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია)	3:2, 2:3
		ჯგ	ცრვენა ზვეზდა — სამპდორია (გენუა, იტალია)	1:3, 0:2
95-96	უთ	სე	ქსამაქსი (ნევშატელი, შვეიცარია) — ცრვენა ზვეზდა	0:0, 1:0
96-97	თთ	სე	ჰართსი (ედინბურგი, შოტლანდია) — ცრვენა ზვეზდა	1:1, 0:0
		1/16	კაზერსლაუტერნი (გერმანია) — ცრვენა ზვეზდა	1:0, 0:4
		1/8	ბარსელონა (ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა	3:1, 1:1
97-98	თთ	სე	ჰიკ ჰელსინკი (ფინეთი) — ცრვენა ზვეზდა	1:0, 0:3
		1/16	ეკერენი (ანტვერპენი, ბელგია) — ცრვენა ზვეზდა	3:2, 1:1

ისე არ წახდება სახნისი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლამის გაუთავებელმა ომმა და არეულობამ ისევ იმ უცხო ძალის წყალობით ამ ქვეყანასაც დარი ხელი და ბალკანეთის ამ დიდმა სახელმწიფომ ექვსი ეროვნების ხალხისგან რომ შედგებოდა 5 ახალი ქვეყანა შვა.

ყოფილ თუ ახლადელ იუგოსლავთა შრომა-გარჯა და ნიჭიერება საქვეყნოდ ცნობილია. ძნელად თუ რომელიმე ევროპულ სუპერკლუბს რაიმე სერიოზული წარმატებისთვის ისე მიუღწევია, შემადგენლობაში ერთი ხორვატი ანაც სერბი არ ჰყოლოდა.

ბოლო ათწლეულში იუგოსლავთა თავს წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ამ ხალხმა რა არ გადაიტანა. და მაინც, იმ ომსა და აურზაურში იუგებს თამაში არ მიუტოვებიათ, ეგ იყო, ფიფა-უეფამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ემბარგოს კვალდაკვალ საერაშორისო ტურნირებში მონაწილეობა აკრძალათ.

და თქვენ გგონიათ, იუგოსლავია ფეხბურთის მამების სანქციებს შეუშინდა? ფეხბურთის სამჭედლოებში საბერველი არ გაჩერებულა და ახალ-ახალი ვარსკვლავები ევროპული ფეხბურთის კაბადონს ახალ თანავარსკვლავედად რომ მოევლინა, ისევ იწრთობოდა.

1995 წელს უეფამ სიტყვა უკან წაიღო — იუგოსლავურ კლუბებს ევროთასებზე მონაწილეობის ნება დართო. იუგებიც საქმეს ძველებური მონდომებით კი შეუდგნენ, მაგრამ რაკი ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელებს კლუბები დიდხანს ვეღარ აკავებენ, შედეგები ძველებურად შთამბეჭდავი აღარა აქვთ.

ფოთის „კოლხეთის“ მეტოქე „ცრვენ ზვეზდას“ დიდი წარდგენაც არ სჭირდება. „რედ სტარი“ ანუ წითელი ვარსკვლავი (ამ გუნდის სახელს ევროპელები ხშირად თარგმნიან) 90-იანი წლების დასაწყისში სრულიადიუგოსლავური ფეხბურთის მანამდე არნახულ სიმაღლეს შესწვდა — მარსელის „ოლიმპიკს“ უგოლო ფრეს შემდეგ პენალტებით მოუგო და ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. მანამდე ევროპული თასი ოდონდ უეფასი და თანაც დიდი ხნის წინ 1967 წელს მხოლოდ „კროაციას“ მოეგო. „ცრვენა ზვეზდამ“ კი ამას ერთიც შემატა — საკონტინენტთაშორისო თასზე ჩილეს „ჯოლო კოლოც“ დაიბრიყვა, 3:0 მოუგო. იმ გუნდიდან, ცხადია, სახელიღაა დარჩენილი: მაშინდელი ვარსკვლავები ახლა ევროპულ გუნდებში მიმოფანტულან, მაგრამ ერთი ქართული ანდაზის არ იყოს, ისე არ წახდება სახნისი, რომ არ გამოვიდეს სადგისიო, ახლანდელი „ცრვენა ზვეზდაც“ ჩვენებურ „კოლხეთს“ ალბათ შანსს არ დაუტოვებს.

„ბათუმის“ მეტოქე „პარტიზანი“ „კოლხეთისას“ ევროპული მიღწევით ვერ შეედრება, ცოტათი შინაური ტიტულებითაც ჩამოუვარდება, თუმცა ეს სხვაობაც შავ-თეთრებმა ამ იზოლაციის ხანაში 90-იან წლებში შეამცირეს. 6 წელია „პარტიზანს“ მილოშ რადაკოვიჩი თავკაცობს, მან საჭე ივიცა ოსიმისგან ჩაიბარა და ამ დროში გუნდი სამჯერ გაჩემპიონა, ორჯერაც თასი მოაპოვებინა. ბოლო სამ წელიწადს „პარტიზანი“ სულაც უცვლელი თერთმეტეულით თამაშობდა, მაგრამ ამ ზაფხულს დიდი ცვლილებები მოხდა და უახლოეს „სარბიელებში“ ამაზეც წვრილ-წვრილად მოგახსენებთ.

ერთი კია, იუგოსლავიის ამჟამინდელი ნარების ბირთვს სწორედ ეს მოთამაშენი შეადგენენ, ეს კი ხუმრობა საქმე ნამდვილად რომ არ არის მსოფლიოს ჩემპიონატზეც. ვიხილეთ.

ვახტანგ ბზიკაძე

ფეხბურთი: ბოლო იმედი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ძნელი სათქმელია რატომ, მაგრამ „ვლაჟნის“ ზეობის პირველი ხანი ომისშემდგომ პერიოდს დაემთხვა, თუმცა შკოდერელთა ბოგინი ორ წელიწადს გაგრძელდა და მერე ესტაფეტა „პარტიზანს“ გადაეცა. „ვლაჟნია“ ხელახლა მხოლოდ 70-იან წლებში აღზევდა, მაგრამ ამჯერად კარგა ხანს გაძლო ლიდერებში და გამარჯვებათა კუდი 80-იანი წლების დასაწყისსაც უწია. ამ 11 წლის განმავლობაში „ვლაჟნია“ ოთხჯერ ჩემპიონი იყო, სამჯერაც თასის მფლობელი.

სწორედ ამ პერიოდში ალბანელები პერმანენტულად არიდებდნენ თავს ევროთასებზე ასპარეზობას. ეს კი, ენვერ ხოჯას დიქტატურის ხანაში, ძნელი მისახვედრი არაა, რით იყო გამოწვეული.

მას შემდეგ კი „ვლაჟნიას“ დიდხანს მოუწია ლოდინი, ვიდრე ხელახლა გაჩემპიონდებოდა. და აჰა, შკოდერის გუნდი ისევ ჩემპიონია და ჩვენებურ „დინამოს“ შეხვდება.

როგორ მოიპოვეს ალბანელებმა ეს უფლება? რაც ვიცით, გავიხსენოთ.

— ჩვენ ზეწოლას განვიცდით ლიგის თავკაცებისგან. ალბანეთის ფეხბურთში კორუფცია მეფობს! ფაქტობრივად, საშუალებას არ გვაძლევენ, თამაშები მოვიგოთ. ისეც მომხდარა, სამართლიანად მოგებული შეხვედრები გადაგვათამაშებინეს. „ვლაჟნია“ ლიგის თავკაცებისგან იჩაგრება! — კლუბის მწვრთნელი ჰუსეინ დედია ამას ჯერ კიდევ ალბანეთის აწ უკვე გასრულებული ჩემპიონატის შუაში, წლის დასაწყისში აცხადებდა.

ალბანეთის ჩემპიონატი ეს ერთგვარი მოვლენაა მსოფლიოს ფეხბურთში. ეს არის პირველობა, რომლის მუდმივი თანამდევია არეულობა, გუნდებს შორის ჩხუბი, ხანდახან სისხლისღვრაც. ერთი სიტყვით, ეს არის ყოვლად უმართავი ჩემპიონატი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც მთავრდება ხოლმე.

ვლაჟნია შკოდერი, ალბანეთი

დაარსდა: 1919 წელს
სტადიონი: ლორო ბორიჩი (15 000)
ჩემპიონი (8): 1945, 46, 72, 74, 78, 83, 92, 98
თასის მფლობელი (5): 1965, 72, 79, 81, 87
პრეზიდენტი: აზემ ჰაიდარი
მწვრთნელი: ჰუსენ დედია

გასულ სეზონში ალბანეთის პირველობას ჩაშლის საფრთხე დაემუქრა, თუმცა, კეთილი ხალხის წყალობით ჩემპიონატი მაინც გასრულდა. პირველობის შეწყვეტა რამდენიმე მიზეზით შეიძლება მომხდარიყო — ხშირი იყო თამაშებისას არეულობები არამარტო ქომაგებს, არამედ ფეხბურთელებს შორისაც. კლუბების თავკაცები რამდენჯერმე გაეხვივნენ ფინანსურ გაუგებრობებში და შესაბამისად უპატრონოდ დარჩენილი გუნდებიც თამაშებს „აგდებდნენ“. იყო შემთხვევები ამა თუ იმ კლუბის ფეხბურთელები ხელფასს არ იღებდნენ და, შესაბამისად, თამაშზეც უარს აცხადებდნენ. მოკლედ, ალბანეთის ჩემპიონატი ჩვენსას ამ მხრივ ბევრად უსწრებს (ჩვენ ღმერთს აქამდე დავუფარივართ) და ერთხანს ჩაშლის საფრთხეც ძალიან დაემუქრა.

რაც შეეხება კონკრეტულად „ვლაჟნიას“, მას 1997-98 წლების შესაყარზე რამდენჯერმე მოუწია მოგებული შეხვედრების გადათამაშება.

ორ შემთხვევაში მე-15 ტურში, სტუმრად „ტომორთან“ (13 დეკემბერს) და მე-17 ტურში, ასევე სტუმრად „ოლიმპიკთან“ (27 დეკემბერს) ვლაჟნიელებმა გადათამაშებები თავის სასარგებლოდ დაასრულეს. ორივე შეხვედრაში მინიმალური უპირატესობით 1:0 იმარჯვეს, ხოლო გაზაფხულზე, კერძოდ კი 14 მარტს 24-ე ტურში მათ თავდაპირველად კი დაამარცხეს „ბილიში“, მაგრამ მავანთა გამოისობით მათ შეხვედრის გადათამაშებამ მოუწიათ და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ — 2:2.

ვახტანგ ბზიკაძე

„ვლაჟნიას“ შედეგები ევროთასებზე

71-72	უთ	1/32	რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ვლაჟნია +:-	არ გამოცხადდა
78-79	ჩთ	1/16	ვლაჟნია — აუსტრია (ვენა, ავსტრია)	2:0, 1:4
79-80	თთ	1/16	დინამო (მოსკოვი, სსრკ) — ვლაჟნია +:-	არ გამოცხადდა
83-84	ჩთ	1/16	ჰამბურგი (გფრ) — ვლაჟნია +:-	არ გამოცხადდა
87-88	თთ	1/16	ვლაჟნია — შლემა უონდერერზი (მალტა)	2:0, 4:0
		1/8	ვლაჟნია — როპსი (როვანიემი, ფინეთი)	0:1, 0:1
91-92	უთ	1/32	ვლაჟნია — აეკ (ათენი, საბერძნეთი)	0:1, 0:2

„პარტიზანის“ შედეგები ევროთასებზე

55-56	ჩთ	1/8	სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) — პარტიზანი	3:3, 2:5
		1/4	რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — პარტიზანი	4:0, 0:3
61-62	ჩთ	1/16	სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) — პარტიზანი	1:1, 0:2
		1/8	პარტიზანი — იუვენტუსი (ტურინი, იტალია)	1:2, 0:5
62-63	ჩთ	1/16	ცდნა (სოფია, ბულგარეთი) — პარტიზანი	2:1, 4:1
63-64	ჩთ	1/16	პარტიზანი — ანაროსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი)	3:0, 3:1
		1/8	ჟენეს ეში (ლუქსემბურგი) — პარტიზანი	2:1, 2:6
		1/4	პარტიზანი — ინტერი (მილანი, იტალია)	0:2, 1:2
65-66	ჩთ	1/16	პარტიზანი — ნანტი (საფრანგეთი)	2:0, 2:2
		1/8	პარტიზანი — ვერდერი (ბრემენი, გფრ)	3:0, 0:1
		1/4	სპარტა (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — პარტიზანი	4:1, 0:5
		1/2	პარტიზანი — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)	2:0, 0:1
		ფ	რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — პარტიზანი	2:1
67-68	უთ	1/32	პარტიზანი — ლოკომოტივი (პლოვდივი, ბულგარეთი)	5:1, 1:1
		1/16	პარტიზანი — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	1:2, 1:1
69-70	უთ	1/32	პარტიზანი — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი)	2:1, 0:2
70-71	უთ	1/32	პარტიზანი — დინამო (დრეზდენი, გდრ)	0:0, 0:6
74-75	უთ	1/32	გურნიკი (ზაბეჟ, პოლონეთი) — პარტიზანი	2:2, 0:3
		1/16	პარტიზანი — პორტდაუნი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია)	5:0, 1:1
		1/8	პარტიზანი — კიოლნი (გფრ)	1:0, 1:5
76-77	ჩთ	1/16	დინამო (კიევი, სსრკ) — პარტიზანი	3:0, 2:0
78-79	ჩთ	1/16	პარტიზანი — დინამო (დრეზდენი, გდრ) 2:0, 0:2	პენ. 4:5
83-84	ჩთ	1/16	პარტიზანი — ვიკინგი (სტალანგერი, ნორვეგია)	5:1, 0:0
		1/8	დინამო (ბერლინი, გდრ) — პარტიზანი	2:0, 0:1
84-85	უთ	1/32	რაბატ აიაქსი (მალტა) — პარტიზანი	0:2, 0:2
		1/16	ქუინზ პარკ რეინჯერსი (ინგლისი) — პარტიზანი	6:2, 0:4
		1/8	ვიდეოტონი (უნგრეთი) — პარტიზანი	5:0, 0:2
85-86	უთ	1/32	პორტომინენსე (პორტუ, პორტუგალია) — პარტიზანი	1:0, 0:4
		1/16	პარტიზანი — ნანტი (საფრანგეთი)	1:1, 0:4
86-87	უთ	1/32	ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) — პარტიზანი	1:0, 3:1
87-88	უთ	1/32	ფლამურტარი (ვლორი, ალბანეთი) — პარტიზანი	2:0, 1:2
88-89	უთ	1/32	პარტიზანი — სლავია (სოფია, ბულგარეთი)	5:0, 5:0
		1/16	პარტიზანი — რომა (იტალია)	4:2, 0:2
89-90	თთ	1/16	პარტიზანი — სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია)	2:1, 4:5
		1/8	გრონინგენი (ჰოლანდია) — პარტიზანი	4:2, 1:3
		1/4	დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — პარტიზანი	2:1, 2:0
90-91	უთ	1/32	ჰიბერნიანსი (პაოლა, მალტა) — პარტიზანი	0:3, 0:2
		1/16	სოსიედადი (ესპანეთი) — პარტიზანი 1:0, 0:1	პენ. 4:5
		1/8	ინტერი (მილანი, იტალია) — პარტიზანი	3:0, 1:1
91-92	უთ	1/32	სპორტინგი (ხიხონი, ესპანეთი) — პარტიზანი 2:0, 0:2	პენ. 3:2
97-98	ჩთ	სე	პარტიზანი — კროაცია (ზაგრები, ხორვატია)	1:0, 0:5

Chempions League

CHAMPIONS LEAGUE

პირველი ეტაპის მატჩები
22 და 29 ივლისს გაიმართება,
მეორე ეტაპისა — 12 და 26 აგვისტოს

სელტიკი — სენტ პატრიკი	გლაზგო, შოტლანდია — დუბლინი, ირლანდია	
		კროაცია ზაგრები, ხორვატია
ბაიერნი მიუნხენი, გერმანია		ობილიჩი — ვესტმანაიერი ბელგრადი, იუგოსლავია — რეიკიავიკი, ისლანდია
ჰიკ — ერევანი ჰელსინკი, ფინეთი — სომხეთი		მეცი საფრანგეთი
ლიტექსი — ჰალმსტადი ლოვეში, ბულგარეთი — შვედეთი		სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი
სტიაუა — ფლორა ბუქარესტი, რუმინეთი — ტალინი, ესტონეთი		პანათინაიკოსი ათენი, საბერძნეთი
მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისი		ლკს — ქიაფაზი ლოძი, პოლონეთი — განჯა, აზერბაიჯანი
კარედა — მარიბორი შაულიაი, ლიტვა — სლოვენია		ეინდჰოვენი ჰოლანდია
დინამო — ვლაჭნია თბილისი, საქართველო — შკოდერი, ალბანეთი		ატლეტიკი ბილბაო, ესპანეთი
ოლიმპიაკოსი პირეოსი, საბერძნეთი		ლა ვალეტა — ანართოსისი მალტა — ფამაგუსტა, კვიპროსი
შტურმი გრაცი, ავსტრია		ზიმბრუ — უიპეშტი კიშინიოვი, მოლდოვა — ბუდაპეშტი, უნგრეთი
გალათასარაი სტამბოლი, თურქეთი		გრასჰოპერი — ჟენესი ციურიხი, შვეიცარია — ეში, ლუქსემბურგი
დინამო — ბერი თაუნი კიევი, უკრაინა — უელსი		სპარტა პრაღა, ჩეხეთი
რუსენბორგი ტრონჰეიმი, ნორვეგია		სილექსი — ბრიუგე კრატოვო, მაკედონია — ბელგია
ბენფიკა ლისაბონი, პორტუგალია		ბეითარი — ტორსჰავენი იერუსალიმი, ისრაელი — ფარერები
კოშიცე — კლიფტონვილი სლოვაკეთი — ჩრდ. ირლანდია		ბრონდბიუ კოპენჰაგენი, დანია
ინტერი მილანი, იტალია		სკონტო — დინამო რიგა, ლატვია — მინსკი, ბელარუსი

UEFA Cup

UEFA CUP

მატჩები
22 და 29 ივლისს გაიმართება

არჯეში — დინამო პიტეშტი, რუმინეთი — ბაქო, აზერბაიჯანი		
ბელშინა — ცსკა ბობრუისკი, ბელარუსი — სოფია, ბულგარეთი		
ლინფილდი — ომონია ბელფასტი, ჩრ. ირლანდია — ნიკოზია, კვიპროსი		
ბირკირკარა — შახტიორი მალტა — დონეცკი, უკრაინა		
კოლხეთი — ცრვენა ზვეზდა ფოთი, საქართველო — ბელგრადი, იუგოსლავია		
ინტერი — ტირანა ბრატისლავა, სლოვაკეთი — ალბანეთი		
სადამი — პოლონია ტალინი, ესტონეთი — ვარშავა, პოლონეთი		
ჰაფნარი — ვაასანი ფარერები — ფინეთი		
ჟელეზნიჩარი — კილმარნოკი ბოსნია-ჰერცოგოვინა — შოტლანდია		
მურა — დაუგავა მურსკა სობოტა, სლოვენია — რიგა, ლატვია		
აკრანესი — ჟალგირისი რეიკიავიკი, ისლანდია — ვილნიუსი, ლიტვა		
ჰაპოელი — ფინპა თელ ავივი, ისრაელი — ჰელსინკი, ფინეთი		
შირაქი — მალმიო გიუმრი, სომხეთი — შვედეთი		
ეკერენი — სარაევო ანტვერპენი, ბელგია — ბოსნია-ჰერცოგოვინა		
შელბურნი — რეინჯერსი დუბლინი, ირლანდია — გლაზგო, შოტლანდია		
ოცელული — იუგომაგნატი გალატი, რუმინეთი — სლოვა, მაკედონია		
უნიონი — გეტებორგი ლუქსემბურგი — შვედეთი		
ფერენცვაროში — პრინჩიპატი ბუდაპეშტი, უნგრეთი — ანდორა		
ტილიგული — ანდერლეხტი ტირასპოლი, მოლდოვა — ბრიუსელი, ბელგია		
ნიუთაუნი — ვისლა უელსი — კრაკოვი, პოლონეთი		

Cup Winners' Cup

მატჩები 13 და 27 აგვისტოს გაიმართება

რუდარი — კონსტრუქტორული ვლენე, სლოვენია — კიშინიოვი, მოლდოვა		
ვადუცი — ჰელსინგბორგი ლიხტენშტეინი — შვედეთი		
ლოზანა — ცემენტი შვეიცარია — ერევანი, სომხეთი		
კორკ სიტი — ცსკა ირლანდია — კიევი, უკრაინა		
ეკრანასი — აპოლონი პანევეჟისი, ლიტვა — ლიმასოლი, კვიპროსი		
აპოლონია — გენკი ფირო, ალბანეთი — ბელგია		
ბანგორ სიტი — ჰაკა უელსი — ვალკეაკოსკი, ფინეთი		
ლევსკი — ლოკომოტივი სოფია, ბულგარეთი — ვიტებსკი, ბელარუსი		
მეტალურგსი — კეფლავიკი ლიეპაია, ლატვია — რეიკიავიკი, ისლანდია		
გრევენმახერი — რაპიდი ლუქსემბურგი — ბუქარესტი, რუმინეთი		
ლანტანა — ჰართსი ტალინი, ესტონეთი — შოტლანდია		
ამიცა — ჰიბერნიანი ვრონსკი, პოლონეთი — შოტლანდია		
გოტუ — მტკ ფარერები — ბუდაპეშტი, უნგრეთი		
გლენტორანი — მაკაბი ჩრდ. ირლანდია — ჰაიფა, ისრაელი		
ვარდარი — სპარტაკი სკოპიე, მაკედონია — ტრნავა, სლოვაკეთი		
ჭარაბალი — კოპენჰაგენი აგდამი, აზერბაიჯანი — დანია		
პარტიზანი — ბათუმი ბელგრადი, იუგოსლავია — საქართველო		

ჩემპიონთა ლიგაში მოცემულია ორი ეტაპის წილისყრის შედეგები. მაგალითად, თბილისის „დინამოსა“ და „ვლაჭნიას“ შორის გამარჯვებული მეორე ეტაპის პირველ მატჩში ბილბაოს „ატლეტიკს“ უმასპინძლებს და ა.შ.

ანმყო შობილი წარსულისაგან

ბრაზილია ჰოლანდიის წინააღმდეგ — მსოფლიოს ჩემპიონატს დელიკატესი ჰქონია მენიუში.

მატჩს, რომელსაც დღეს მარსელის „ველოდრომზე“ ელიან, თვით ფინალობა დამშვენდებოდა. წარმოიდგინეთ, ერთი მხრივ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მეორე მხრივ ორგზის ფინალისტი; ერთი მხრივ ის, ვისაც სურს მთელი დედამიწა საბოლოოდ დააჩოქოს და თავისი ხელუწვდენელი სიდიადე აღიარებინოს, მეორე კი ის, ვინც თვლის, რომ არაფრითაა ვირტუოზებზე ნაკლები და დროა ეს დამტკიცოს; ერთი მხრივ სამხრეთ ამერიკული, მეორე მხრივ კი ევროპული სკოლის წარმომადგენელი.

ბრაზილიაცა და ჰოლანდიაც შემტევი გუნდები გახლავან. საფრანგეთის სტადიონებზე მათ სწორედ ბრწყინვალე თავდასხმის წყალობით მიაღწიეს წარმატებებს და მსოფლიოს უძლიერეს ოთხეულში დიამკვიდრეს ადგილი, მაგრამ ორივეს შედარებით სუსტი დაცვა ჰყავს.

„ჰოლანდიელებს უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მათ დაცვაში აქვთ სუსტი ადგილები“ — განუცხადა ჟურნალისტებს ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, წარსულში უდიდესმა ფეხბურთელმა ზიკომ.

მოწინააღმდეგის შესახებ თავისი მოსაზრებები აქვს ჰოლანდიელთა თავკაცს გუს ჰიდინკსაც.

„მოედნის ნებისმიერ დაგილას, რაგინდა რა ფუნქციის შესასრულებლად ბრაზილიელებს ოდითგანვე ძალიან არტისტულად მოთამაშე ხალხი ჰყავდათ. მაგრამ ბოლო დროს მათ ფილოსოფია შეიცვალეს. დღეს ისინი შედეგს გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობენ, რაზეც მე, როგორც ფეხბურთის ერთ ჩვეულებრივ გულშემატკივარს, გული მწყდება, რადგან ძველებური სილამაზე დაიკარგა. სამაგიეროდ, მსოფლმხედველობის ასეთმა ცვლილებამ მათ მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანეს“ — ამბობს მწვრთნელი, რომელმაც ორი წლის წინ ამხანაგურ შეხვედრაში გააჯიბრა თავისი მოთამაშეები ბრაზილიელებს. ის შეხვედრა 2:2 დამთავრდა.

ბრაზილიას მიმდინარე ჩემპიონატზე ყველაზე მეტად მეოთხედფინალში, დანიელების წინააღმდეგ თამაში გაუჭირდა. მართალია, გაიმარჯვა, მაგრამ თავიდან გათანაბრება მოუხდა, მერე კი, უკვე 2:1-ს რომ იგებდა, კიდევ ერთი გოლი გაუშვა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწია გამარჯვებას. შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3:2 გახლდათ.

იმავე თამაშში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო მსოფლიოს ჩემპიონთა ჩინებულმა მარჯვენა მცველმა კაფუმ, რომელიც ჰოლანდიელებთან შეხვედრას გამოსტოვებს. მას ზე კარლოსით შეცვლიან. ზე კარლოსი 31 წლის კაცია, რომელსაც აქამდე ნაკრებში ერთხელაც არ უთამაშია, შეცვლაზეც კი არ შეუყვანიათ. მას „სან პაულუს“ მატჩებში აქვს გამოცდილება მიღებული და აგერ, დღეს პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატს, თან მის ნახევარფინალს დააჭაშნიკებს.

სამაგიეროდ დღევანდელი შეხვედრისთვის მოსამზადებლად ბრაზილიელებს ჰოლანდიელებზე ერთი დღით მეტი ჰქონდათ. მათ 3 ივლისს დაამარცხეს დანიელები, ჰოლანდიელებმა კი არგენტინასთან 4-ში, თან შუადღის ხვატში ითამაშეს. ამას ალბათ ისიც უნდა დავამატოთ, რომ ევროპელებს თავიანთი მეოთხედფინალური შეხვედრის ერთი ნაწილის თამაში რიცხობრივ უმცირესობაში მოუხდათ.

მაგრამ სტიმული დიდია. ჰოლანდიელ ფეხბურთელთა დღევანდელ თაობას დიდ წინამორბედთა შედეგის გამეორებამდე ერთი ნაბიჯიღა აკლია. 1974 წელს იოჰან კრუიფი და მისი თანაგუნდელები იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, სადაც მასპინძლებთან, გერმანელებთან წააგეს. 1978-ში კი მართალია უკვე კრუიფის გარეშე, მაგრამ ჰოლანდიელებმა კვლავ გაიკაფეს გზა ფინალისკენ, სადაც ისევ მასპინძლებთან, ამჯერად არგენტინელებთან შეხვედრაში, დამატებით დროში იწვნიეს მარცხი.

ოღონდ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ორივეჯერ, ისევე, როგორც წინა ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრაში ბრაზილიასთან, ნიდერლანდელებმა დაცვაში დაშვებული უზუსტობების გამო წააგეს.

ჰოლანდიელ ფორვარდს, პატრიკ კლუივერტს სწამს, რომ მას და მის თანაგუნდელებს მსოფლიოს ჩემპიონთა დამარცხება შეუძლიათ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ ისინი საუკეთესო მატჩის ჩატარებას შეძლებენ.

„ბრაზილიელებს რამდენიმე უდიდესი შემსრულებელი ჰყავთ, ისინი ბევრს და მწვავედ უტევენ, მაგრამ ჩვენც აუცილებლად მოგვეცემა სახიფათოდ შეტევის შესაძლებლობა. აქამდე თითქოს იმდენი გოლი ვერ გაგვქონდა, რამდენის გატანაც შეგვიძლია, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ პასებით უნდა დავოცლოთ მოწინააღმდეგე, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვათრიოთ ზედმეტად ბურთი“ — თქვა კლუივერტმა.

ჰოლანდიელი თავდამსხმელის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი გატანილი გოლების რაოდენობით უკმაყოფილოა, არადა სტატისტიკა ბრძანებს, რომ მისმა გუნდმა საფრანგეთის სტადიონებზე ბრაზილიის შემდეგ ყველაზე მეტი, 11 გოლი გაიტანა. ბრაზილიელებს 13 ჯერ აქვთ მეტოქეთა კარი დალაშქრული.

წახვალ წამოხვალ და ისევ დაცვას უნდა მიადგე. კლუივერტს და მის მეგობრებს მართლაც დაცვაზე უჯობთ ფიქრი. ჯერ ერთი, ზოგადად ვერ ჰყავთ ისეთი ძლიერი დაცვა, როგორიც თავდასხმა. მეორეც, მეოთხედფინალში, არგენტინელებთან ბრძოლისას მსაჯმა სწორედ მცველი, არტურ ნუმანი გაუგდო მოედნიდან. მესამე კი ის, რომ კვირის ვარჯიშზე კოჭი მოიტეხა ვინსტონ ბოგარდმა. იგი თანაგუნდელი ოპონენტის მოტყუებას ცდილობდა და ამ დროს დაიზიანა ფეხი. საწვრთნელი ბაზიდან ბოგარდი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს და ცხადია, საბოლოოდ მოარჩენენ კიდეც, მაგრამ ამას დღევანდელ შეხვედრასთან საერთო არაფერი ექნება. არადა, ვინსტონ ბოგარდი დისკვალიფიცირებული ნუმანის შემცვლელად იყო მიჩნეული.

ჰოლანდიელთა მწვრთნელს გუს ჰიდინკს ძველი ბრაზილია ენატრება

სარბიელის არქივიდან

ახლა ასეა საქმე: მარცხენა მცველის მოვალეობას ბრაზილიასთან შეხვედრაში ალბათ... ფილიპ კოკუს შეასრულებენებენ. დიახ, სწორედ იმ კოკუს, რომელიც ამ ჩემპიონატში თავდამსხმელად წარმოჩნდა და გოლებიც გაიტანა, საერთოდ კი ნახევარმცველია.

იყო ერთი ვარიანტიც, დაცვის მარცხენა ფრთაზე გუნდის კაპიტანი ფრანკ დე ბური გადაესროლათ, მაგრამ მიმოხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ ჰიდინკი ასეთ რისკს არ გასწევს, რადგან ტყუპისცალი დე ბურის მარცხნივ გაწევით ჰოლანდიელებს დაცვის ცენტრი შეუსუსტდებათ, იქ კი ბრაზილიელთაგან რონალდო შეუტევს.

მოგეხსენებათ, ფეხბურთელები ცრუმორწმუნეთა შორის ყველაზე ცრუმორწმუნენი არიან. მათთვის ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მით უმეტეს, სტადიონს. რა სტადიონია მარსელის „ველოდრომი“? რა ამბები დატრიალებულა აქ დღევანდელ მეტოქეთა თავს?

თუკი ამას მართლა აქვს რაიმე მნიშვნელობა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მარსელის სტადიონი კედლებიანად და ბალახიანად ჰოლანდიის გულშემატკივარია. „ველოდრომი“ გახლავთ ის სარბიელი, სადაც ჰოლანდიამ ამ ჩემპიონატში თავისი მეორე შეხვედრა ჩაატარა კორეის გუნდთან, რომელსაც ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა, შემდეგ კი გასულ შაბათს დაბრუნდა ისევ იქ და მეოთხედფინალში არგენტინის ნაკრებს ავჯობა 2:1.

„ველოდრომზე“ ბრაზილიაც ნამყოფია, ოღონდ პირველად ძალიან დიდი ხნის წინ, 1938 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, სადაც იტალიასთან წაგო 1:2. ბრაზილიისა და „ველოდრომის“ მეორე შეყრას კი ნულარ იკითხავთ. ეს ახლა იყო, ჯგუფური ტურნირის ბოლო დღეს, როდესაც ეგილ ოლსენმა და მისმა ნორვეგიამ (ამერიკელი მსაჯის დახმარებით) უსიამოვნო 2:1 მოუგეს.

„დღეს უფრო ძლიერი გუნდი ვართ, ვიდრე 1994 წელს ვიყავით, როდესაც ბრაზილიასთან 2:3 წავაგეთ. ძალიან ბევრ ჩვენგანს საუკეთესო კლუბებში უდიდესი გამოცდილება აქვს მიღებული. ბოლო ორი წელიწადია ერთი და იმავე სისტემით ვთამაშობთ, გვყავს კონკრეტულ დავალებათა შესრულებაში გაწაფული 20 ფეხბურთელი. ამიტომაც თუ ვინმე დაშავდება, მას აუცილებლად გამოუჩნდება შემცვლელი“ — ამბობს ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი ვიმ იონკი.

ისევ 1994 წლის მოგონება. ახალია და იმიტომ. ოთხი წელიწადია გასული მას მერე, რაც ბრაზილიამ ჰოლანდიას ის 3:2 მოუგო. განა შეიძლება იმის დავიწყება, როგორ ჩამოუარა ბრანკომ მეტოქეებს (ლამის ყველას) და მსაჯს ხელის ჩამოსართმევად, როდესაც მას ცვლიდნენ, ხოლო თითოეულ დარჩენილ წამს ჰოლანდიელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა? თუმცა ეს აშკარა ეშმაკობა რა მოსატანია, თავად მატჩი იყო დრამატული. დაგვეთანხმებით, იმ ზაფხულს, აშშ-ის მინდვრებზე ბევრი ლამაზი შეხვედრა არ გამართულა. ის კი, რომელიც ჩვენ გავიხსენეთ, იშვიათთაგანი იყო.

მაგრამ მოვეშვათ ოთხი წლის წინანდელ ამბავს და ოცდაოთხი წლის წინანდელი გავიხსენოთ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1974 წელი, 3 ივლისი, დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონი“, ბრაზილია ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონია, ხალხს ოთხი წლის წინანდელი დიდი გუნდი პელე და ძმანი მისნი ახსოვს, ჰოლანდიის ნაკრები სენსაციაა, აღმოჩენა. ვინმე რინუს მიხელსს მსოფლიოს პირველობაზე ჩაჰყავს გუნდი, რომელიც უკიდურესობამდე უცნაურ ფეხბურთს თამაშობს. ასეთ თამაშს „ტოტალური ფეხბურთი“ შეარქვეს. გარდა ტაქტიკური სიახლისა, ჰოლანდიელებს უდიდესი ფეხბურთელი, იოჰან კრუიფი ჰყავთ. ამ ორ გუნდს შორის გამარჯვებული ფინალში გადის. ესე იგი, მატჩს იგივე დატვირთვა აქვს, რასაც დღეს ნახევარფინალს უწოდებენ (მაშინ პლეიოფის სისტემა არ იყო).

საბჭოთა მაყურებელმა იმ დღეს ჰოლანდიელთა თამაში თავიდან ბოლომდე პირველად ნახა. წინა შეხვედრები ცენტრალურ ტელევიზიას ნაყიდი არ ჰქონდა.

ეს წითელი ქვეყნის ქომაგთათვის კრუიფისა და მისი თანაგუნდელების პრემიერა იყო. პრემიერა ჩინებული გამოდგა, ჰოლანდიამ 2:0 მოიგო. პირველი გოლი ნეესკენსმა გაიტანა, მეორე — კრუიფმა.

და აი, გუშინდელი ამბავი: რინუს მიხელისი გულის შეტევის გამო საავადმყოფოში დააწვინეს. 70 წლის მოაზროვნე, „ტოტალური ფეხბურთის“ ავტორი, დიდი „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების მესაძირკვლე, ექიმთა თქმით, სტაბილურადაა. ალბათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა ერთი დღის განმავლობაში არც გაუმჯობესდა არც გაუარესებულა.

როგორც საგენტორები გადმოსცემენ, მიხელსმა შაბათს ტელევიზიით ადევნა თვალი ჰოლანდიისა და არგენტინის მეოთხედფინალურ შეხვედრას, კვირა დილით კი ცუდად გახდა.

„მისი მდგომარეობა კრიტიკული აღარაა. ვუსურვებთ გამოჯანმრთელებას“ — განაცხადა ფიფას პრესსატაშემ კიტ კუპერმა. იმედია, რომ მიხელსი რამდენიმე დღეში გაეწერება საავადმყოფოდან, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ 15 წლის წინ მას გულის ოპერაცია აქვს გადატანილი.

70-იანი წლების დიდ წარმატებათა ფონზე მიხელსის მიღწევებიდან არც 1988 წლის ამბავია დასავიწყებელი. ბევრი მწვრთნელისთვის ხომ ის, რაც მიხელსმა 88-ში შეძლო, კარიერის ერთადერთი და უბრწყინვალესი შედეგი იქნებოდა. მიხელსი 88-ში ჰოლანდიის ნაკრებს დაუბრუნდა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

დღეს მიხელსი საავადმყოფოშია, მისთვის ჩვეულ სკამზე კი უმცროსი კოლეგა გუს ჰიდინკი ზის. სამაგიეროდ, ბრაზილიელთა სკამი დაუბრუნდა 1970 წელს. აქ, ისევე როგორც მაშინ, პელეს დროს, სუფევს მარიო ზაგალო, რომელიც კვლავ ოქროს თასს უმიზნებს.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ბრაზილია: ტაფარელი, ზე კარლოსი, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, დუნგა, ლეონარდო, რივალდო, რონალდო, ბებეტო

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიგერი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, რ. დე ბური, იონკი, დავიდსი, ზენდენი, ბერხკამპი, კლუივერტი

პაპუნა კედია

სარბიელის არქივიდან

1974 წლის 3 ივლისს ბრაზილიელთა კარში პირველი გოლი იოჰან ნეესკენსმა (მარცხნივ) გაიტანა

ჰოლანდია — ბრაზილია *მსოფლიოს ჩემპიონატებზე*

ჰოლანდია 2:0 ბრაზილია

03.07.1974. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 52.500 მაყურებელი. II ეტაპი

ჰოლანდია: იონგბლადი, სუურბიერი, ჰაანი, რიისბერგენი, კროლი, იანსენი, ნეესკენსი (ისრაელი 85), ვან ჰანეგემი, რეპი, კრუიფი, რენსენბრინკი (დე იონგი 67)

ბრაზილია: ლეაო, ზე მარია, ლუის პერეირა, მარინიო პერესი, მარინიო, კარპეჯიანი, რიველინო, პაულო ცეზარი (მირანდინია 61), ვალდომირო, ჟაირზინიო, დირსეუ

1:0 ნეესკენსი (50), 2:0 კრუიფი (65)

მსაჯი: კურტ ჩენჩერი (გფრ)

ჰოლანდია 2:3 ბრაზილია

09.07.1994. დალასი. „კოტონ ბოული“. 64.000 მაყურებელი. 1/4 ფინალი

ჰოლანდია: დე გუი, კუმანი, ვალქსი, ვინტერი, ვაუტერსი, რაიკაარდი (რ. დე ბური 65), ვიჩზ, იონკი, ოვერმარსი, ვან ფოსენი (როი 54), ბერხკამპი

ბრაზილია: ტაფარელი, ჟორჟინიო, ალდაირი, მარსიო სანტოსი, ბრანკო (კაფუ 88), მაურო სილვა, დუნგა, ზინიო, მაზინიო (რაი 80), ბებეტო, რომარიო

0:1 რომარიო (52), 0:2 ბებეტო (62), 1:2 ბერხკამპი (64), 2:2 ვინტერი (76), 2:3 ბრანკო (81)

მსაჯი: როდრიგეს ბადილია (კოსტა რიკა)

ჰოლანდია — ბრაზილია *საერთაშორისო შეხვედრები*

1. 02.05.63	ამსტერდამი	(ა)	1:0	პეტერსენი
2. 03.07.74	დორტმუნდი	(მშ)	2:0	ნეესკენსი, კრუიფი
3. 20.12.89	როტერდამი	(ა)	0:1	კარეკა
4. 09.07.94	დალასი	(მჩ)	2:3	ბერხკამპი, ვინტერი; რომარიო, ბებეტო, ბრანკო

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური მატჩი; (მჩ) — მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონატის დღიური

4 ივლისი

ლაშა ეოდყაძე

FRANCE 98

კრავთა მდუმარეობა

ვის არ წაუგია?

40 წელი გასულა მას შემდეგ. ტრაგედია 1958 წელს დატრიალდა, მესამე ადგილისთვის მატჩში. მაშინ ჟიუსტ ფონტენმა და ბრწყინვალე საფრანგეთის ნაკრებმა 6:3 დაამარცხა ჯერ კიდევ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. რჩეულმა არიელმა ფეხბურთელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ფრანგებს და სასტიკად დამარცხდნენ.

სარბიელის არქივიდან

დანიელ პასარელას თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე ოფიციალურად არაფერი უთქვამს, თუმცა...

1998 წლის 4 ივლისს, მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის ბოლო მეოთხედფინალში ტრაგედია განმეორდა, — ხორვატიის ნაკრებმა ბერტი ფოგთსის გუნდი მიწასთან გაასწორა, 3:0 დაამარცხა. დიდი ანგარიშით მოგება თავისთავად კარგია, მაგრამ . ხორვატთა გამარჯვება განსაკუთრებულ ელფერს იძენს, ვინაიდან იგი მსოფლიოს ჩემპიონატზეა მოპოვებული.

დიდი ანგარიშით წაგებას კი არა, უბრალოდ მარცხს ეწირებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მწვრთნელები. ამიტომ ბერტი ფოგთსის გადადგომაც თითქოს მოსალოდნელი იყო, მაგრამ:

— დამარცხებით ვინ არ დამარცხებულა, ჩვენც არ ვართ გამონაკლისი. ცხადია, ძალიან საწყენი იყო სამი ბურთით რომ წავაგეთ, მაგრამ განა ვიშვიში საქმეს უშველის? ახლა ხელების დაკაპიწება და საერთო საქმის ერთად, მუხლჩაუხრელად კეთებაა საჭირო. გერმანიამ აუცილებლად უნდა დაიბრუნოს პრესტიჟი, მე ამისთვის ვიბრძოლებ კიდეც. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ნაკრებიდან ჩემი ფეხით არსად წავალ. ასე რომ მოვიქცე, ხალხი ლაჩრად ჩამთვლის, წააგო და გაიქცაო, იტყვიან, მე კი არ მსურს გულშემატკივრებში ასეთი სახელი მქონდეს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე მე კვლავ გერმანიის ნაკრების მწვრთნელად დავრჩები. მერე ვნახოთ, რა იქნება, ფედერაცია გადაწყვეტს, დავრჩე თუ არა ნაკრების ხელმძღვანელად.

ჯერჯერობით ბერტი ფოგთსის მომავალი გაურკვეველია. გერმანიის ფედერაცია დუმს, თუმცა როდემდე გაგრძელდება უხერხული პაუზა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, არაა გამორიცხული, ბერტი ბუნდესნაკრების თავკაცად დარჩეს — გერმანელებს მწვრთნელთა ხშირი ცვლა არ სჩვევიათ.

„გერმანია ფოგთსის ხელში გუნდი კი არა ხროვაა. რაც დრო გადის, ნაკრები მით უფრო სუსტდება. მარცხიც ადრე თუ გვიან უნდა ყოფილიყო. სამწუხაროა, მსოფლიოს წინაშე რომ შევრცხვით, მაგრამ რა უნდა ვქნათ? — ბევრი არაფერი — ფოგთსი უნდა გადადგეს!“ — „ალგემაინე ციტუნგიდან“ მოყვანილი ეს ციტატა მცირე ნაწილია იმ კრიტიკული წერილისა, გერმანელთა ხორვატებთან მარცხს რომ მოჰყვა.. ამ გაზეთის პოზიცია ფოგთსთან მიმართებაში სავსებით გასაგებია.

„ზედიზედ მეორედ. კვლავ იგი. ნუთუ ვეღარ უნდა გავიგოთ, რომ ჰერ ბერტის ხელში ჩვენი გუნდი უკან-უკან მიდის. გერმანია უფსკრულს უახლოვდება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ იქ გადაიჩეხოს. დროა, მომავალზე ვიფიქროთ. თუ ფოგთსი გუნდში დარჩა, 2002 წელს ამავე შემადგენლობით მოგვიწევს თამაში“ — გერმანიაში ყველაზე პოპულარული საფეხბურთო ჟურნალი „კიკერი“ არანაკლებ მკაცრი გახლდათ. საერთოდ, უკლებლივ ყველა გერმანული გაზეთი თუ ჟურნალი, რომელსაც ოდნავ მაინც აინტერესებს სპორტი, ნაკრებს აკრიტიკებდა, რადგან ხორვატებთან თამაშის შემდეგ შესაქები არაფერი იყო.

— მესმის, რომ გუნდის მარცხმა უამრავი ქომაგი დაამწუხრა, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ამ შემადგენლობით მეოთხედფინალი ჩვენი მაქსიმუმი იყო. მიჩივიან, თითქოს ნაკრები ვეტერანებით დავაკომპლექტე. მაშინ დამანახეთ ქვეყნის პირველი გუნდის ღირსი ახალგაზრდა მოთამაშეები. ასეთნი გერმანიაში დღესდღეობით არ არიან. თითქოს ერთი თაობა დაიკარგაო, დაახლოებით ასეთი რამ დაემართა გუნდს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ფოგთსი ძალიან ცდილობდა თავი ემართლებინა, ნაკრების განადგურების მიზეზებიც აეხსნა, თუმცა გუნდის მდგომარეობით შეძრწუნებულ მას მედიას არაფერი აინტერესებდა, 0:3 — ამით ყველაფერი ნათელია.

ხდება ხოლმე, გუნდი 0:3 აგებს, მაგრამ ფეხბურთს თამაშობს, იბრძვის და მაინც მარცხდება. გერმანელთა შემთხვევაში სხვაგვარად იყო — თავდაპირველად კარგად კი დაიწყეს ფავორიტებმა, მაგრამ ხორვატებმა მაინც მიაღწიეს მიზანს. მატჩის შემდეგ ექსიუგოსლავიელთა ლიდერმა ზვონიმირ ბობანმა განაცხადა, დღეს ჩვენ ვიყავით გერმანელები და არა მეტოქეო. დაახლოებით ასე იყო.

ხორვატიის ნაკრები პირველია გერმანიას ბერტი ფოგთსის თავკაცობით სამბურთიანი მარცხი რომ აწვნია. ფოგთსი ბუნდესნაკრებს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თავკაცობს, მაგრამ აქამდე გერმანელები ასე არავის გაუბითურებია.

არა, გერმანიამ მართლაც სასტიკად წააგო. ანგარიში არ მაქვს მხედველობაში. მთლიანობაში, გუნდის თამაშს ვგულისხმობ. მართლაც, კარგა ხანია ასეთი დაჩაჩანაკებული გერმანია არ უნახავს მსოფლიოს. ფოგთსი როგორც ჩანს, საკადრო პოლიტიკაში შეცდა, ბევრი „მოხუცი“ წაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამით კი ახალგაზრდებთან ვერაფერი გააწყვეს.

გერმანიას დაემართა ის, რაც ერთობ იშვიათად ემართება.

ბო — შვედი დანიაში

მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან ოთხი სამშობლოში უნდა გაბრუნებულიყო. სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ნახევარი ჩემპიონატს ჩამოშორდა, ნახევარმაც ნახევარფინალს უწია.

გერმანელთაგან განსხვავებით, რომლებმაც განადგურებულებმა და საქვეყნოდ შერცხვენილებმა დატოვეს პირველობა, დანიის ნაკრები უდიდეს საფეხბურთო ტურნირს თავაწეული გამოეთხოვა. შვედი ბო იოჰანსონის რჩეულმა დანიელმა ბიჭებმა, მართალია, ბრაზილიასთან წააგეს, მაგრამ დამარცხდნენ ულამაზეს ბრძოლაში, დაძაბულ შეხვედრაში. წაგებაც არის და წაგებაც. დამარცხება, როგორიც უნდა იყოს იგი, თავისთავად საწყენია, მაგრამ კარგ თამაშს, წარბშეუხრელ ბრძოლას მოყოლილი მარცხი გარკვეულწილად ამსუბუქებს სიმწარეს. დანიელებმაც, მართალია, წააგეს, მაგრამ მეოთხედფინალში დამარცხებულთა შორისაც ყველაზე მაღლა დადგნენ. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ლამაზად დატოვეს ბრძოლის ველი.

„ დანია დამარცხდა და ამავდროულად გაიმარჯვა იკდეც. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვეთხოვეთ, თუმცა იგი მუდამ დარჩება ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დანიური ფეხბურთის ისტორიაში. საფრანგეთი 98-ზე დანიამ ლამაზად ითამაშა და ერთ-ერთი ის გუნდი იყო, რომელმაც საუკეთესო მოგონებები დატოვა“ — დანიაში, ჰანს ქრისტიან ანდერსენის სამშობლოში, საყვარელი გუნდის მარცხს უცნაურად გამოეხმაურნენ. არც ერთ სტატიასა თუ წერილში არ იგრძნობოდა კრიტიკა. არ იყო საუბარი მწვრთნელსა თუ ფეხბურთელების შეცდომებზე — ჟურნალისტები კარგ, სანახაობრივ თამაშს უქებდნენ.

სარბიელის არქივიდან

ბო იოჰანსონი — მწვრთნელი, რომელმაც „დანიური დინამიტი“ მთელი ძალით ვერა, მაგრამ მაინც გვარიანად ააფეთქა

ბრაზილიასთან დანია, ცხადია, განწირულად ითვლებოდა, მაგრამ მატჩის დებიუტში სკანდინავიელებს სენსაციის იმედი ჩაესახათ — იორგენსენის გოლმა დანია დააწინაურა. ბრაზილიელებმა მაინც იმარჯვეს — დანიელები გუნდურად კარგად კი ირჯებოდნენ, თვით მეტოქეზე უკეთ, მაგრამ სამხრეთამერიკელთა თანდაყოლილმა ფანტაზიამ თავისი გაიტანა.

— ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ. ეს მათი მაქსიმუმი იყო. გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეოთხედფინალში გამოვეთიშეთ მსოფლიოს ჩემპიონატს, ვთვლი, რომ დანიამ საფრანგეთში წარმატებულად ითამაშა. ჩემი აზრით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დანიური ფეხბურთის ისტორიაში. მე ბიჭებით კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მათ — ბო იოჰანსონმა, შვედმა მწვრთნელმა, მეზობელი ქვეყნის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა, დანიის ისტორიაში პირველად.

„ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ამაყად ვემშვიდობებით მსოფლიოს ჩემპიონატს. ცხადია, მარცხი სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა — ბრაზილია ბრაზილიაა, ფეხბურთის ჯადოქრები. ჩვენ, უბრალო მოთამაშეები კი მათთან ვერაფერს გავხდით. ამაში გულდასაწყვეტი არაფერია. მთავარია ის, რომ გუნდმა ლამაზად და კარგად ითამაშა“ — „ბენ გერგრუნდე“, კოპენჰაგენის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი, ისევე როგორც მთელი დანიური პრესა ნაკრებს აქებდა, უფრო სწორად, გუნდის კარგ თამაშს შესაბამის შეფასებას აძლევდა.

ასე რომ, დანიელებმა ნაკრების გამოსვლა დადებითად შეაფასეს, ბო იოჰანსონსაც საქმიანობა მოუწონეს, უბრალოდ, გასარკვევი ისაა, დატოვებენ თუ არა შვედს გუნდის თავკაცად.



სარბიელის არქივიდან

ბერტი ფოგთსმა საშინელებას თვალი ვერ გაუსწორა

დანიელი და იტალიელები

დანიისა და გერმანიის დარად მეოთხედფინალის შემდეგ კიდევ ორი ქვეყნის გულშემატკივრები დაღონდნენ — მსოფლიოს სამგზის და ორგზის ჩემპიონებმა იტალიელებმა და არგენტინელებმა ასპარეზი მეტოქეთ დაუთმეს.

იტალიაში ჩეზარე მალდინის და საერთოდ გუნდს როგორ შეხვდნენ, ამაზე ადრეც გიამბეთ. ახლა არგენტინელთა თავკაც დანიელ ალბერტო პასარელაზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

სამშობლოში დაბრუნებულთ არგენტინელი ქომაგები დიდი სიხარულით არ დახვედრიან. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მიღება იყო. რაც შეეხება პასარელას, მან მეორე დღესვე პრესკონფერენცია გამართა, სადაც მართალია ოფიციალურად არაფერი განუცხადებია, მაგრამ საუბარში დამსწრეთ აგრძნობინა, ნაკრების მწვრთნელობიდან გადავდგებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი, რომელმაც ვერ გაამართლა

ალესანდრო დელ პიერომ წლევანდელი სეზონი მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა. პირველ ყოვლისა, ძლიერ დაეხმარა „იუვენტუსს“ სკუდეტოს მოპოვებაში, რომელსაც მის კლუბს მთელი წლის განმავლობაში რონალდოს „ინტერი“ ეცილებოდა. ალესანდრომ 1997-98 წლების სეზონში თავისი კლუბის სახელით 56-ჯერ იასპარეზა და 33 გოლის გატანაც მოახერხა, რომელთაგან უმეტესმა, „ინტერთან“ მეორე წრის შეხვედრის ჩათვლით, გუნდს მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა. ასევე კარგად გაისარჯა დელ პიერო ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაშიც, სადაც „ბებერი ქალბატონი“ ფინალამდე მივიდა, მაგრამ გადამწყვეტ, ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 20 მაისს „ამსტერდამ არენაზე“ გაიმართა, მან, ისევე, როგორც მთელმა გუნდმა, საშინლად ითამაშა და მთელი შრომა წყალში ჩაყარა. იმ მატჩში მას მადრიდის „რეალის“ გამოცდილი მცველი და კაპიტანი ფერნანდო იერო მეურვეობდა და ისე ამოკეტა თავისი ახალგაზრდა კოლეგა, რომ ამ უკანასკნელმა, სახიფათო მომენტის შემნა კი არა, ერთი მაინც რომ გამეტანა...



საარბიელის არქივიდან

საარბიელის არქივიდან



მალდინი მიხვდა, რომ რობერტო ბაჯო უფრო დიდხანს უნდა ეთამაშებინა, მაგრამ უკვე გვიან იყო

საფრანგეთში დელ პიერო იტალიელთა ერთ-ერთ მთავარ იმედად ჩავიდა, მაგრამ ტურნირის მსვლელობისას და „სკუადრა აძურას“ მეოთხედფინალიდან გამოვარდნის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ყველაზე დიდი იმედგაცრუება იტალიელთათვის სწორედ იგი იყო. ალესანდრო რომ ფორმაში არ გახლდათ, ეს მან ჯერ კიდევ მერვედფინალში, ნორვეგიელებთან დაამტკიცა, როდესაც მოწინააღმდეგის მეკარე ფროდ გროდასთან სამჯერ დარჩა ერთი-ერთზე ბურთიც კი მხოლოდ ერთი-ორჯერ მიიღო. თამაშის შემდეგდ გაირკვა, თურმე დელ პიეროს ტრავმა მიუღია. აქედან გამომდინარე, შეიქმნა მისი მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენის საფრთხე, რაც არც მას, არც ჩეზარე მალდინის და არც ტიფოზებს მაშინ ხელს არ აძლევდათ. თუმცა 23 წლის ფორვარდმა ტრავმას დროულად უმკურნალა და სამსოფლიოსჩემპიონატო 22 კაციან განაცხადშიც ადგილი დაიბევა.

ასეა, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება. რას იზამ, ყველას ცდება, მაგრამ ყველაფერი შენს პირად ინტერესებს არ უნდა ანაცვალო და მთელი გუნდი, მილიონობით გულშემატკივარი თვალცრემლიანი არ უნდა დატოვო. ფრანგებთან შეხვედრის შემდეგ ჩეზარემ განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატს თავაწეულები ვტოვებთო. თუ რატომ, არავინ უწყის. ისე, უმჯობესი იქნება, კვლავ დელ პიეროს დავუბრუნდეთ, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ დიდმა რობერტო ბაჯომ დაამშვიდა: „არა უშავს, ასე ხდება ხოლმე, ხან გამოგივა თამაში, ხან არა. მას რომ ერთი გოლის გატანა მაინც მოეხერხებინა, არავინ იცის, მომავალში როგორ გაირჯებოდა. შეიძლება ითქვას, ალესანდროს არ გაუმართლა“.

ამ აზრს თავად დელ პიეროც ეთანხმება: „ბაჯო მართალია, თუნდაც ნორვეგიელებთან რომ გამეტანა, ალბათ გაცილებით უკეთ ვითამაშებდი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ფორტუნამ ზურგი მაქცია. როდესაც საფრანგეთში მოვემგზავრებოდი, მეგონა, ეს თვე ჩემთვის უბედნიერესი იქნებოდა, მაგრამ მწარედ შევცდი — მსოფლიოს ჩემპიონატი კოშმარს დაემსგავსა“.

სამწუხაროა, როდესაც ვარსკვლავს, თანაც ახალგაზრდას თამაში არ გამოსდის. მით უმეტეს, რომ გულშემატკივრები მისგან ძალიან ბევრს ელოდნენ. მაგრამ არა უშავს, ალესანდრო დელ პიეროს ყველაფერი კიდევ წინ აქვს და სამჯერვე უხეიროდ გაისარჯა. იმ შეხვედრაში ნორვეგიელებს ანგარიში რომ გაეთანაბრებინათ, შემდეგ კი სულაც მოეგოთ, ჩეზარე მალდინი ალბათ მაშინვე მიხვდებოდა, რომ დელ პიერო ძირითადში დასაყენებელი არ არის და მას რობერტო ბაჯო ერთი თავით სჯობს, მაგრამ, იტალიელთა სავალალოდ, მაშინ მათ გაიმარჯვეს და მეოთხედფინალურ მატჩშიც ტურნირის მასპინძელთა წინააღმდეგ კვლავ ახალგაზრდა თავდამსხმელი გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში. კვლავ განმეორდა 20 მაისის ისტორია. ამჯერად დელ პიეროს საფრანგეთის ნაკრების მარჯვენა მცველი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი უკანახაზელი ლილიან ტურმი მეთვალყურეობდა, და თუ ამსტერდამში იტალიელი ბურთის მიღებას მაინც ახერხებდა, ტურამმა ახლა ესეც არ აცალა. შედეგად უფროსი მალდინი მიხვდა (ძალიან გვიან), რომ ეს ფეხბურთელი ღირებულს ვერაფერს შექმნიდა და მის მაგივრად მოედანზე რობი ბაჯო გამოიყვანა. თუ რა მოჰყვა ამ ცვლილებას, კარგად გეხსომებათ — მთელი მატჩის განმავლობაში ასე თუ ისე უსაქმოდ მყოფ ბარტეზს დროის მცირე მონაკვეთში ზედიზედ რამდენჯერმე მოუხდა თავისი ოსტატობის გამოვლენა. და რა მოხდებოდა, 3 ივლისს ბაჯო რომ ძირითადში ყოფილიყო? ალბათ ის, რომ ახლა ნახევარფინალში ფრანგების ნაცვლად იტალიის ნაკრები იქნებოდა. ასეთია ჩემი სუბიექტური აზრი, რომელსაც ვიცი, ბევრი დეთანხმება. ასე რომ, აპენინელებმა თავიანთი წარუმატებელი გამოსვლა საკუთარ თავს, უფრო სწორად ჩეზარე მალდინის უნდა დაბრალონ. კი, კარგი ფეხბურთელია დელ პიერო, მაგრამ თავის უფროს კოლეგას, რომელმაც „სკუადრა აძურა“ ოთხი წლის წინ მსოფლიო პირველობის ფინალამდე ათრია, მაინც ვერ შეედრება, მით უმეტეს, რომ ფორმაში არ არის. ეს კი იტალიელთა თაკაცმა პირადი შუღლისა თუ საკუთარი პრინციპების გამო ვერ გათვალა და ამიტომაც ახლა მშობლიურ მილანში იმყოფება.

ზე კარლოსი ბრანკოა?

დღეს რომ დიდი მატჩია, ალბათ, ყველას კარგად მოგეხსენებათ. თუ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებთ თვალყურს, ისიც გეცოდინებათ, რომ დღევანდელ შეხვედრაში ორივე გუნდს, ბრაზილიელებსაც და ჰოლანდიელებსაც თითო-თითო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ეყოლებათ. სამხრეთამერიკელებს მარჯვენა მცველი კაფუ გამოაკლდებათ, რომელმაც მეოთხედფინალში დანიელებთან სრულიად უაზროდ მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, ხოლო ევროპელებს — მარცხენა მცველი არტურ ნუმანი. ამ უკანასკნელმა არგენტინელებთან შეხვედრისას სიმეონეს კინადამ მძიმე ტრავმა მიაღებინა და დამსახურებულადაც მოუწია მოედნის ნაადრევად დატოვება. ასე რომ, დღევანდელი მეტოქეები ერთ ფრთაზე მოთამაშე ფეხბურთელებს მოისაკლისებენ და, შეიძლება ითქვას, სტატუს კვოც აღდგება, თუმცა ჰოლანდიელები უფრო მძიმე დღეში არიან — ნუმანის შემცვლელ ვინსტონ ბოგარდს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მარჯვენა ფეხი აქვს მოტეხილი და დღეს მოედანზე ნამდვილად ვერ ვიხილავთ. ვინ დაიკავებს მის ადგილს, თამაშის დაწყებისას გავიგებთ. რაც შეეხება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს, მათ საქმეები უკეთესად აქვთ და მარიო ზაგალოც არ მალავს, რომ კაფუს ნაცვლად დღეს მოედანზე „სან პაულუს“ მცველი ზე კარლოსი გამოვა. ჩვენც სწორედ ამ ფეხბურთელზე ვისაუბრებთ.

ზე კარლოსი ბრაზილიის ნაკრების წევრთაგან ყველაზე ნაკლებანაზღაურებადი ფეხბურთელია. მან პროფესიული ფეხბურთის თამაში მხოლოდ 1990 წელს დაიწყო და ეს მაშინ, როდესაც უკვე 30 წლისაა. ზე კარლოსმა რვა წლის წინ სან პაულუს მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ სან ხოსეს კლუბთან გააფორმა კონტრაქტი, სადაც ძალიან ცოტა ხანს იმყოფებოდა. შემდეგი ორი სეზონი ფეხბურთელმა პროვინციულ გუნდ „ნასიონალში“ გაატარა, ხოლო 1993 წელს სხვა პატარა კლუბ „სან საატანოში“ გადაბარგდა. ამას მოჰყვა ერთი სეზონი „პორტუგეზეში“, რის შემდეგაც ზე კარლოსი უკვე შედარებით სერიოზულ გუნდ „ფუენტუეს“ ეწვია. იგი არც აქ გაჩერებულა დიდხანს და ზუსტად 12 თვის შემდეგ ბრაზილიის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „მატონეზეს“ დაუკავშირა თავისი ბედი. ზე კარლოსმა მცირე, პროვინციულ გუნდებში მთელი ეს ვოიაჟი იმით დასრულა, რომ 1997 წელს ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდთან, „სან პაულუსთან“ გააფორმა კონტრაქტი, რომელიც ძალიან მცირე თანხად, სულ 300 000 დოლარად შეფასდა.

ასეთია ზე კარლოსის საკლუბო კარიერა. პირველი გამოძახება ეროვნულ ნაკრებში მან წელს, მარტში მიიღო, როდესაც ბრაზილიელები შტუტგარტში გერმანიის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს კიდეც 2:1. მაისის დასაწყისში კი მარიო ლობო ზაგალომ იგი სამსოფლიოსჩემპიონატო 22-კაციან განაცხადში შეიყვანა.

მართალია, ზე კარლოსს არ ჰქონია დიდი იმედები, რომ საფრანგეთის სტადიონებზე გამოჩნდებოდა, რადგან კაფუ შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ დღესდღეობით ასე მოხდა — კაფუ დისკვალიფიცირებულია და „პარმაში“ მოთამაშე ზე მარიას მაგივრად საფრანგეთში წაყვანილ ზე კარლოსს თავის გამოჩენის მშვენიერი შანსი ეძლევა.

მარიო ზაგალომ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, ამ ბიჭის დიდი იმედი მაქვსო: „ეს მისი სადებიუტო მატჩი იქნება ბრაზილიის ნაკრებში. მიუხედავად ამისა, მჯერა, იგი უმაღლეს დონეზე ითამაშებს და კაფუს არყოფნას არავის აგრძნობინებს. ზე კარლოსი 30 წლისაა და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც გააჩნია“.

სხვათა შორის, ოთხი წლის წინ, როდესაც ჰოლანდიისა და ბრაზილიის ნაკრებები ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში შეხვდნენ, დისკვალიფიცირებული ლეონარდოს ნაცვლად მინდორზე ბრანკო გამოჩნდა და უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ სწორედ მან გადაწყვიტა იმ შეხვედრის ბედი. მოახერხებს იგივეს ზე კარლოსი, რომელიც თავის ცხოვრებაში პირველად იმყოფება საზღვარგარეთ? ვნახოთ.

დავით კოტეზირიძე



საარბიელის არქივიდან

კოცნა დიდი მატჩის წინ — ზე კარლოსი და მისი მეუღლე ბერტა ლუჩია

მათ უნდა შექმნან ისტორია

ხვალ ფრანგები, რომლებიც მეორედ მასპინძლობენ მსოფლიოს ჩემპიონატს, თავიანთ ისტორიაში მეოთხედ იასპარეზებენ ამ ტურნირის ბოლოსწინა ეტაპზე — ნახევარფინალში. ფინალში გასვლის პირველი სამი ცდა მათთვის მარცხით დასრულდა: 1958 წელს ბრაზილიასთან, ხოლო 1982 და 1986 წლებში გერმანიასთან. სწორედ ამის გამო ხვალინდელ შეხვედრას „სამფეროვანთათვის“ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ უნდა გაამართლონ მილიონობით გულშემატკივრის იმედი და, ბოლოს და ბოლოს, გადალახონ ეს რთული ბარიერი. 4 ივლისს საფრანგეთის ნაკრების მეტოქე უნდა გარკვეულიყო, ერთმანეთს ხორვატია და გერმანია ხვდებოდნენ და, ალბათ, არ არსებობდა ფრანგი, რომელიც გულისფანცქალით არ უყურებდა იმ მატჩს. არა იმიტომ, რომ რომელიმე გუნდს ქომაგობდა. საქმე ისაა, რომ გერმანელები ტრადიციულად უგებდნენ მათ კერპებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორ გაახარებდა ხორვატთა დიდებული გამარჯვება ფრანგ ხალხს. ასე რომ, ნახევარფინალის ხშირ სტუმრებს ისტორიაში დამკვიდრების საუცხოო შანსი აქვთ — ისინი შინ ასპარეზობენ და არც მეტოქე შეხვდათ ისეთი ძლიერი, როგორსაც ელოდნენ. სწორედ ამის შეხახებ ისაუბრა თავის ვრცელ სატელევიზიო გამოსვლაში ლორან ბლანმა, ფეხბურთელმა, რომლის პარაგვაელებთან მერვედფინალური მატჩის დამატებითი დროის ბოლო წამებზე გატანილმა გოლმა, შეიძლება ითქვას, ფრანგები სირცხვილისგან იხსნა. გაგაცნობთ ამ ინტერვიუს ზოგიერთ საინტერესო ნაწყვეტს: „ნახევარფინალში შემთხვევით ჯერ არავინ გასულა და ამიტომაც მჯერა ჩემი გუნდის. რაც შეეხება ხორვატებს, აღფრთოვანებული ვარ მათი თამაშით. ხორვატია ახალგაზრდა და ამავდროულად დიდი ერია. ტურნირის დაწყების დღიდან ვამბობდი, რომ საუკეთესო ოთხეულში აუცილებლად მოხვდებოდა ნაკრები, რომელსაც ამას არავინ უწინასწარმეტყველებდა, თანაც ვფიქრობდი, ეს ან იუგოსლავია იქნება, ანაც ხორვატია-მეთქი — მათ ხომ უმაღლესი დონის მოთამაშეები ჰყავთ, რომლებიც მსოფლიოს წამყვან კლუბებში თამაშობენ. ასეც მოხდა, ხორვატები ნახევარფინალში არიან და ეს არავის უნდა უკვირდეს.“

როდესაც ბლანს ჰკითხეს, რითი სჯობს ეს ნაკრები იმას, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანელებთან რომ წააგო, ფეხბურთელმა უპასუხა: „ეს გაცილებით ძლიერი გუნდია. მისი წევრები უკვე დიდი ხანია, ერთად თამაშობენ და ამიტომ ამ ნაკრებში ურთიერთგაგების პრობლემა ნამდვილად არ არსებობს. ვერ ნახეთ, როგორ გაანადგურეს გერმანია? ასეთი გამარჯვება სუსტი გუნდების ხვედრი არ არის. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დიდი ტრადიციების მქონე ფეხბურთელები არიან. წლების განმავლობაში, მაშინ, როცა იუგოსლავია ერთიანი ქვეყანა იყო, მისი წამყვანი მოთამაშეები სწორედ ხორვატები იყვნენ.“

მომდევნო კითხვა მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ გამარჯვებულს შეეხო: „თუ გნებავთ, ჩვენ გვიწოდეთ ფავორიტები, ოღონდ იცოდეთ, გამარჯვება ამ ოთხი გუნდიდან თითოეულს რეალურად შეუძლია. მხოლოდ კლასშია ცოტა განსხვავება. სულაც არ გამიკვირდება, ჰოლანდიის ნაკრებმა ბრაზილიელებს რომ მოუგოს, ეს საუკეთესო გუნდია ჰოლანდიის ისტორიაში.“

ინტერვიუს ბოლო ნაწილი, რაღა თქმა უნდა, ოპტიმისტური და ემოციურად ამაღლებული გამოდგა. ფრანგულ პატრიოტიზმზე საუბარი ახლა ზედმეტია, ამის შესახებ ისედაც მთელმა მსოფლიომ იცის. გამონაკლისი არც ბლანია, რომელიც თავისი გუნდის წარმატებებზე მაინც ოცნებობს: „ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, იმ თამაშის ჩვენებაა, რომელსაც მაყურებელი მოითხოვს — ჩვენც ეს ხომ ნამდვილად შეგვიძლია. მე და ბიჭებს გვჯერა საკუთარი ძალების, ჩვენ ყველას დამარცხება ძალგვიძს, ჩვენ უნდა შევქმნათ ისტორია.“

ვერაფერს იტყვი, ბლანი მშვენიერ ხასიათზე ყოფილა. არა მგონია, ხორვატები იყვნენ უგუნებოდ და რაიმეს დათმობას აპირებდნენ. ასე რომ, წინ დიდებული ბრძოლა გველის, სადაც, იმედია, უძლიერესი გაიმარჯვებს.

დავით კოტეზირიძე

დაააშავე? დაისჯები!

როგორც საფრანგეთში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობამ აჩვენა, ფიფა თავისი საქმიანობის მკაცრ წესს არ ღალატობს და თითოეულ დამრღვევს სამაგალითოდ სჯის. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის დროს უხეშობა ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტსა და ფრანგთა ლიდერ ზინედინ ზიდანს არ აპატიეს და ორ-ორი თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამას მერვედფინალში ყვითელთავა გეორგე კრაიოვეანუს დასჯა მოჰყვა, რომელმაც წაგება ვერ აიტანა და ხორვატებთან მატჩის შემდეგ მთავარ არბიტრს კარგა გვარიანი მუჯლუგუნით გაუმასპინძლდა. ყოველივე ამის შემდეგ ცხადი იყო, უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაცია არც მეოთხედფინალურ შეხვედრებში „თავის გამომჩენ“ ფეხბურთელებს დაინდობდა. მართლაც, ფიფას არგენტინა-ჰოლანდიასა და გერმანია-ხორვატიას შორის გამართულ მატჩებში მოთამაშეთა უხეშობა თვალთახედვიდან არ გამორჩენია და წესრიგის დამრღვევნი მკაცრად ამხილა.

ფიფას მოხელეთა პირველი მსხვერპლი არგენტინის ნაკრების გამთამაშებელი არიელ ორტეგა შეიქნა. ეს მოთამაშე თვალთმაქცობაში ადრეც ყოფილა შემჩნეული, მაგრამ ჰოლანდიელებთან მისმა საქციელმა მართლაც ყველაფერს გადააჭარბა. არა, ორტეგა უდავოდ ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელია, რომლის გარეშეც ეს სამხრეთამერიკული ნაკრები ბევრს დაკარგავდა, მაგრამ მეოთხედფინალში მან მაინც მეტისმეტი მოინდომა. მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როდესაც არგენტინელი მეტოქის საჯარიმო მოედანში შეიჭრა. მის შესასვედრად ჰოლანდიელთა მცველი სტამი გაემართა, თუმცა მომხვდურისთვის ბურთის ართმევა ვერ შეძლო. მიზეზი კი სულ უბრალო გახლდათ. სანამ სტამი ორტეგას მიუახლოვდებოდა, ეს უკანასკნელი მსაჯის თვალის ასახვევად იმდენად ოსტატურად გაიშხლართა მოედანზე, რომ ვინმეს ეგონებოდა, უმძიმესი ტრავმა მიიღო. არა, არიელმა ეს ეპიზოდი მართლაც საოცრად გაითამაშა, ისე რომ, გამოუცდელი არბიტრი უმალ მოტყუვდებოდა და უეჭველ თერთმეტმეტრიანს დანიშნავდა. მაგრამ, ორტეგას სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატს ხომ მხოლოდ პროფესიონალები ემსახურებიან. მექსიკელმა არბიტრმაც ობიექტურად შეაფასა სიტუაცია და არგენტინელ ყალთაბანდობისთვის გააფრთხილა. გულმოსულმა ფორვარდმა იმის მაგივრად, რომ თავი ჩაეხარა და თამაში გაეგრძელებინა, მეტად უმსგავსი საქციელი ჩაიდინა — თავზე წამომდგარ ახმახ მეკარე ვან დერ სარს ნიკაპში თავი ისეთი სიძლიერით აარტყა, რომ საბრალო გოლკიპერი გონს ექიმების დახმარების შემდეგ ძლივს მივიდა. მექსიკელი მსაჯი ამ ადგილიდან სულ რამდენიმე მეტრში იმყოფებოდა და თანაგუნდელების პროტესტის მიუხედავად ორტეგას ცხვირწინ წითელი ბარათი აუფრიალა. ფიფამ მომხდარის შესახებ ამ დღეებში გამართულ სხდომაზე იმსჯელა და უხეშ ფორვარდს მეტად უსიამოვნო განაჩენი გამოუტანა. დიდმოხელე ჩინოვნიკების გადაწყვეტილებით არიელ ორტეგას სამი საერთაშორისო მატჩის გამოტოვება მოუწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არგენტინელები თავიანთ საუკეთესო გამთამაშებელს 1999 წლის „კოპა ამერიკაზე“ გამართულ პირველ სამ შეხვედრაში მოისაკლისებენ. ამერიკის ჩემპიონატს, როგორც მოგეხსენებათ, გაისად პარაგვაი უმასპინძლებს და რადგან ამ ტურნირზე მოსახვედრად გუნდებს საკვალიფიკაციო თამაშების ჩატარება არ უხდებათ, ორტეგა სასჯელს სწორედ ფინალური ეტაპის მატჩებში მოიხდის.

სარგებლის არქივიდან

არიელ ორტეგა

როგორც ვთქვით, დასიჯლთა შორის მხოლოდ არგენტინელი არ მოიხსენიება. გერმანიისა და ხორვატიის ნაკრებების მეოთხედფინალურ შეხვედრაში უხეში თამაშის გამო მინდვრიდან გაძევებულ კრისტიან ვიორნსსაც საკადრისად მიეზღო. მხოლოდ მას, ორტეგასგან განსხვავებით, ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. სავარაუდოდ, ვიორნსს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

საგულისხმოა, რომ კიდევ ერთი გერმანელი მიჰაელ ტარნატი ფიფას დიდმოხელეთა რისხვას მეტად გაურკვეველ ვითარებაში გადაურჩა. საქმე ისაა, რომ ამ ნახევარმცველს მსაჯებმა ყვითელი ბარათი ორ — მერვედფინალურ და მეოთხედფინალურ მატჩებში აჩვენეს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ფეხბურთელს ავტომატურად უნდა გამოეტოვებინა ნაკრების მიერ ჩატარებული შემდეგი საერთაშორისო შეხვედრა. თუმცა, რატომღაც ასე არ მოხდა და ტარნატს არანაირი სასჯელი არ დააკისრეს.

ირაკლი ხმელიძე

ვინ მოვა, პეკერმანი?

თუ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლად მოასპარეზე ზოგიერთი ნაკრების თავკაცის თანამდებობიდან გადაყენება ერთგვარი მოულოდნელობა გახლდათ, ამას არგენტინელთა მთავარ მწვრთნელ დანიელ პასარელაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. მან ხომ ჯერ კიდევ პირველობის დაწყებამდე განაცხადა, გუნდის სათავეში კარგა ხანი დავყავი და ახლა დროა, ასპარეზი სხვას გადავულოცოო. ამიტომ არგენტინელი გულშემატკივრები გუნდის ხელმძღვანელთან გაშორებას უკვე შეგუებულნი იყვნენ. მათ მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებდათ — როდის, რომელ ეტაპზე დატოვებდა პასარელა ნაკრებს. რა თქმა უნდა, სამხრეთამერიკელ ქომაგებს სურდათ, მწვრთნელის გაცილება 12 ივლისს, ტრიუმფალური ფინალის მოგების შემდეგ მოეწყოთ, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. არგენტინელებმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ჰოლანდიის ძლიერი გუნდის წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს და ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობნენ.

დღეს არგენტინაში გამალებით საუბრობენ პასარელას სავარაუდო შემცვლელზე. ნაკრების მთავარ მწვრთნელობის ყველაზე დიდი შანსი რამდენიმე კანდიდატს შორის ნესტორ პეკერმანს აქვს. თუმცა, როგორც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ქვეყნის ფეხბურთის მამები აცხადებენ, ახალი თავკაცის ვინაობა მომავალ წლამდე არ დასახელდება.

საგულისხმოა, რომ პეკერმანის ოპონენტები ნაკრების თავკაცის თავიანთ კანდიდატად არგენტინის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ კარლოს ბიანკის ასახელებენ. ეს მწვრთნელი რამდენიმე წლის მანძილზე „ველეს სარსფილდს“ წვრთნიდა და 1994 წელს ქვეყნის ჩემპიონობაც მოაპოვებინა. თუმცა სულ ახლახან ბიანკი კიდევ ერთი ცნობილი კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელად დაინიშნა და მისი კანდიდატურა ავტომატურად მოიხსნა. სწორედ ამიტომაა, რომ პასარელას ყველაზე სავარაუდო შემცვლელად პეკერმანია მიჩნეული.

ნესტორ პეკერმანმა ძირითადად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში მიღწეული წარმატებებით გაითქვა სახელი. იგი იმდენად პოპულარული გახლავთ, რომ ფეხბურთის სპეციალისტები ლეგენდარულ ლუის სესარ მენოტისაც კი ადარებენ. გახსოვთ, ალბათ, ცნობილი მწვრთნელი, რომელმაც 1978 წელს არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, ხოლო 1979-ში 20 წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე დიეგო მარადონას კაპიტნობით დარაზმულ გუნდს მსგავსი შედეგი აჩვენებინა. მენოტი არგეტინის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა და მისი სხვა მწვრთნელთან შედარება ძნელად თუ მოუვიდოდა ვინმეს აზრად. თუმცა პეკერმანმა თავისი საქმიანობით შეუძლებელი შეძლო. ისე, თუ ამ კაცის მიღწევებს თვალს გადავავლებთ, იქნებ მისი განდიდება უსაფუძვლოდ სულაც არ მოგვეჩვენოს.

სამი წლის წინ ყატარში ჩატარებულ 20 წლამდელთა ჩემპიონატზე არგენტინელებმა პირველობა არავის დაუთმეს, ხოლო შარშან, როდესაც მსოფლიოს პირველობას მალაიზიამ უმასპინძლა, ტიტული წარმატებით დაიცვეს. როგორც მიხვდით, ორივე შემთხვევაში ნაკერს პეკერმანი წვრთნიდა.

წლეულს მაისში ტულონში გამართული 21 წლამდელთა საერთაშორისო ტურნირისა და იტალიაში 17 წლამდელთა მსოფლიოს პირველობის ფინალური მატჩები ერთმანეთს დაემთხვა და ორივე შეხვედრაში ისევ არგენტინამ იმარჯვა. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ამ გუნდებსაც ნესტორი ედგა სათავეში. ასე რომ, 70-80-იან წლებში „არგენტინოს ხუნიორსის“ ნახევარმცველი სადღეისოდ ურიგო დამრიგებელი არ გახლავთ და მისი არგეტინის ნაკრების თავკაცად დანიშვნა საკვირველი არავისთვის უნდა იყოს.

ირაკლი ხმელიძე

გაიჭანე და მოგეტევება

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი ნამდვილად განსაკუთრებული ფიგურაა საფეხბურთო სამყაროში. იგი ერთ-ერთი იმ იღბლიანთაგანია, ვისაც სპორტული დიდება ადრეულ ასაკში ეწვია და ძირფესვიანად შეცვალა თინეიჯერის ცხოვრება. ფეხბურთის მთელი არსებობის ისტორიაში ხომ თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ ისინი, ვინც სიყრმის წლებში გაიბრწყინეს და ახალი ვარსკვლავის ამოსვლა ამცნეს მსოფლიოს.

წარმოშობით სურინამელი ბიჭუნა შვიდი წლის იყო, როდესაც საქვეყნოდ ცნობილ ამსტერდამული კლუბ „აიაქსის“ მოზარდთა გუნდში ჩარიცხეს. მისი ღვთით მომადლებული ნიჭი ჯერ კიდევ მაშინ იქცევდა ჰოლანდიელი სელექციონერების ყურადღებას, რომლებიც ამ ტანბრგე ბავშვს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. კლუივერტიც იმედს უმართლებლადთ, დღითიდღე ემატებოდა ოსტატობა. ახალგაზრდა ფეხბურთელის საოცარ საგოლე „ყნოსვას“ და ორივე ფეხის ერთნაირად ხმარების ნიჭს აღტაცებაში მოჰყავდა მწვრთნელები. დრო გადიოდა და ტიტების ქვეყანაში გულშემატკივრები ნელ-ნელა ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ მათ ახალი, მსოფლიოს დონის ვარსკვლავი ეზრდებოდათ. მართლაც, „აიაქსში“ მისვლიდან თერთმეტი წლის თავზე პატრიკი უკვე დიდების კლუბში გადაიყვანეს, სადაც პირველივე დღიდან იგდო ხელთ ლიდერობა. მას იმ დროისთვის ჩამოყალიბებულ პროფესიონალებთან შეგუება არ გასჭირვებია და სულ მალე იმდენად გაითქვა სახელი, რომ უკლუიერტოდ ამსტერდამული კლუბი ველარავის წარმოედგინა.

ახალი ეუნდერკინდის აღმოჩენამ არც ნაკრების ხელმძღვანელობა დატოვა გულგრილი. ჰოლანდიელთა მაშინდელმა თავკაცმა პატრიკი ქვეყნის ეროვნულ გუნდში მიიწვია და ფეხბურთელმაც ჩვეულებრივ გაიბრწყინა. მის მიერ ჩატარებულ პირველ ექვს საერთაშორისო მატჩში შეგდებული სამი გოლი მრავალსმეტყველი ფაქტი გახლდათ. ნაკრებში ასეთი თავბრუდამხვევი დებიუტით კლუიერტმა ომახიანი განაცხადი გააკეთა სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დიდი ხნით დასაბევებლად და იმავდროულად მთელს მსოფლიოს აჩვენა თავისი პოტენციალი.

ნიდერლანდელთა ახალი იმედის მიღწევები ამით სულაც არ ამოიწურა. 1995 წელს „აიაქსთან“ ერთად კლუივერტმა შეძლო ის, რაც არაერთმა მასზე გაცილებით გამოცდილმა და სახელოვანმა მოთამაშემ მთელი კარიერის განმავლობაში ვერ მოახერხა. სამი წლის წინ ამსტერდამული კლუბი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც ყოველისმმუსრავ იტალიურ „მილანს“ გადაეყარა. გახსოვთ, ალბათ, შეხვედრის წინ იტალიელთა შანსები გაცილებით ძვირად ფასობდა, მაგრამ ახალბედა კლუიერტი არც სახელგანთქმულ „მილანს“ შეეპუა და მატჩის მიწურულს გატანილი გოლის წყალობით „აიაქსს“ ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა.

ამაზე მეტი თითქოს რა უნდა მომხდარიყო თვრამეტი წლის ბიჭის ცხოვრებაში. იგი საფეხბურთო დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა და მთელი მსოფლიოს სპორტულ საინფორმაციო საშუალებებსაც მასზე საუბარი არ ბეზრდებოდათ. ეს ყველაფერი მართლაც ზღაპარს ჰგავდა, მაგრამ, მოულოდნელად, ყველაფერი შეიცვალა. წარმატებებით გაყოყოჩებულმა კლუიერტმა ძმაბიჭებთან დროსტარებას მიჰყო ხელი და არც საკუთარი მანქანის წარმოუდგენელი სისწრაფით მართვას ერიდებოდა. ამან კი იქამდე მიიყვანა, რომ ერთ საღამოს მორიგი „ვოიაჟის“ დროს ფეხით მოარული გაიტანა და მკვლელობისთვის განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდა.

ამ უბედური შემთხვევიდან დრო გავიდა და თითქმის ყველასგან დავიწყებულ პატრიკს „მილანიდან“ მოულოდნელად სასიხარულო მიწვევა მოუვიდა. კლუიერტის სათაყვანებელი კერპი, ჰოლანდიის ნაკრებისა და მილანელთა კლუბის უძლიერესი მცველი ფრანკ რაიკაარდი სულ ტყუილად ურჩევდა ახალგაზრდა ფეხბურთელს, იტალიაში გადასვლაზე უარი ეთქვა. რაიკაარდს აპენინებზე თამაშის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა და კარგად უწყოდა, რომ კლუიერტს ახალ გარემოსთან შეგუება საოცრად გაუჭირდებოდა, მაგრამ „მკვლელმა“ კერპის დარიგებებს ყური არ ათხოვა და 1997 წლის თებერვალში მილანში გადაბარგდა.

იტალიელთა ყოფილი ჩემპიონის ფორმაში გამოწყობილი კლუიერტის დანახვაზე მის ურიცხვ გულშემატკივრებს იმედი გაულვივდათ, ახლა, ალბათ, დაადგება საშველი და ჩვეულ საფეხბურთო ცხოვრებას დაუბრუნდებაო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ასე სულ ტყუილად ფიქრობდნენ. ერთხელ გზააცდენილ ფეხბურთელს ახალი ცხოვრების დაწყება გაუჭირდა. ის კი არა, სულ მალე მას სამ „თანამოაზრე“ მეგობართან ერთად ჰოლანდიელი ქალის გაუპატიურებაში დასდეს ბრალი და მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ პატრიკს ბრალდება მოეხსნა, ამ შემთხვევამ მაინც უდიდესი დაღი დაატყო ფეხბურთელის კარიერას. ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის მცველების თავზარდამცემმა თავდამსხმელმა ფორმა დაკარგა და იტალიაში მთელი 1997-98 წლების სეზონის განმავლობაში იქაური ტიფოზების დასაცინი შეიქნა.

იტალიაში გატარებული წელიწადით კმაყოფილი არც თავად პატრიკი დარჩენილა. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი სუსტი თამაშით ჰოლანდიის ნაკრების თავკაცთა ყურადღებას ვერაფრით მიიპყრობდა. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა მისი ბავშვობის ოცნება გახლდათ. ამიტომ ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა სიხარულით მიიღო კლუიერტმა გუს ჰიდინკის მიწვევა. 22 წლის ფორვარდი იმედოვნებდა, რომ ცუდ სეზონს მაღალ დონეზე დაასრულებდა და ამით საბოლოოდ დაივიწყებდა ყველა კოშმარს, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე თან სდევდა.

ფეხბურთელი საფრანგეთში თითქოს ურიგოდ არ ათამაშდა, მაგრამ პირველივე შეხვედრაში ბულგარელ ლორენცო სტალენსს იდაყვით უხეშად გაუმასპინძლდა და მსაჯს წითელი ბარათი გამოსტყუა. ფიფამ საბრალო კლუიერტს ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ ჰოლანდიელები მერვედფინალში ვერ გაალწევდნენ, მას ჩემპიონატთან დამშვიდობება მოუხდებოდა. თუმცა ჰიდინკის ქვეშევრდომთათვის ყველაფერი კარგად წარიმართა და კლუიერტსაც თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მიეცა. შანსი, რომელიც პატრიკმა მშვენივრად გამოიყენა. მეოთხედფინალურ მატჩში იგი თავდასხმაში დენის ბერხკამპთან ერთად ირეკებოდა და შეიძლება ითქვას, რომ არგენტინიელთა იმედები სწორედ ამ წყვილმა დაასამარა.

მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა თავკაცმა კლუიერტი საგანგებოდ გამოარჩია.

— ბულგარელებთან უფერულად ჩატარებული თამაში კარგად მახსოვდა, მაგრამ მაინც გავრისკე და პატრიკი არგენტინელებთან პრინციპულ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში დავაყენე. როგორც ნახეთ, არ შევმცდარვარ. კლუიერტი საუცხოოდ გაისარჯა და ყველას დაგვანახა, რომ დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ვფიქრობ, მოძალადე და რეჟიმის დამრღვევი თავდამსხმელი წარსულს ჩაბარდა. პატრიკი გამოსწორების გზას ადგას და უკან მიხედვას არც აპირებს — განაცხადა ჰიდინკმა.

სარგებლის არქივიდან

ზნედაცემული ანგელოზი(?) — პატრიკ კლუიერტი

მართლაც, ძნელია, ფეხბურთელს დაუკარგო ის მონდომება, რომელიც მან მეოთხედფინალურ მატჩში გამოიჩინა. კლუიერტი ხომ, ბერხკამპთან ერთად, შაბათს ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ მოედანზე.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ გაისად პატრიკი „მილანში“ დარჩენას არ აპირებს. თავად, სავარაუდო ახალ სამყოფელად კი ესპანეთს, ანაც ინგლისს ასახელებს.

— „მილანში“ მთლად სუსტად არ მითამაშია, მაგრამ იტალიას, ალბათ, მაინც დავტოვებ. აი, ახალი კლუბის არჩევა კი, ცოტა არ იყოს, მიჭირს. თუმცა ყველა ვარიანტიდან საუკეთესოდ მაინც ლონდონის „არსენალი“ მიმაჩნია, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი დენის ბერხკამპი ასპარეზობს — აცხადებს კლუიერტი და ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ ალბიონზე ძველ პატრიკს ვიხილავთ, რომელიც რიხიანად იტყვის თავის სიტყვას.

ირაკლი ხმელიძე

FRANCE 98

ბურთაობა მილიარდებით

დასაწყისი პირველ გვერდზე

გაიხსენეთ ფონტენი! მოუწოდებენ ფრანგ ფეხბურთელებს. თავად ფონტენი კი ამ დროს 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორმოცწლოვანი იუბილისადმი „მიძღვნილ“ ტორტს შეექცევა პელესთან ერთად

ფიფა დღეს ერთ-ერთი მძლავრი ფინანსური მონსტრია და ყოველწლიურად 250 მილიარდ დოლარს ატრიალებს. შედარებისთვის — „ჯენერალ მოტორსი“ „მხოლოდ“ 170 მილიარდს. გასაკვირია არ არის, რომ ფიფას პრეზიდენტის არჩევნები სცილდება წმინდა საფეხბურთო ჩარჩოებს — სადაც დიდძალი ფულია, იქ პოლიტიკისა და ბიზნესის ინტერესებიცაა. ბლატერისა და იუჰანსონის ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისთვის არ იყო მხოლოდ ორი მოხელის კონკურენცია. აქ ორი კონცეფცია, ორი მიმართულება დაეჯახა ერთმანეთს. გაიმარჯვა იმ დაჯგუფებამ, რომელიც კვლავაც გააგრძელებს ფიფას კომერციალიზაციის კურსს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კაცი, რომელსაც თავის დროზე შვეიცარიის ცნობილ საათების ფირმა „ლონჟინში“ პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა და თავადაც მოხერხებული ბიზნესმენია, შეძლებს დანაპირების შესრულებას — ყველა ფედერაციას ყოველწლიურად 700 ათასი დოლარი გადასცეს.

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი „დახუნძლულია“ სპონსორებით, თავად ფიფასი და ორგკომიტეტისაც. მათი საერთო რაოდენობა 45-ს აღწევს. მათ შორის 12 გრანდია, 12 მულტინაციონალური კომპანია. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ — „მაკდონალდსი“, „კოკა-კოლა“, „ადიდასი“, „ჟილეტი“, „კენონი“, „სნიკერსი“, „ფილიპსი“, „ოპელი“ და სხვანი. სპორტული ნაწარმის მწარმოებელ ცნობილ ფირმებს შორის („რიბოკი“, „პუმა“, „ლოტო“, „ნაიკი“...) ფიფას დროშისა და მზის ქვეშ ადგილი „ადიდასმა“ დაიკავა (აქვე უნდა ითქვას, რომ ფეხბურთი მისი „სპეციალობაა“). სხვათა შორის, „ადიდასს“ ინდივიდუალური კონტრაქტებიც აქვს გაფორმებული მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 43 ფეხბურთელთან, რომელთა შორის არიან ვან დერ სარი, დელ პიერო, ზიდანი, ბექემი, ინსი, კლინსმანი, მრავალი სხვა. საინტერესოა — მხოლოდ ორი მათგანია გერმანელი და არც ერთი გერმანიაში არ თამაშობს. „ადიდასმა“ ჩააცვა და დაახურა თორმეტი-თასიან მოხალისეთა არმიასაც.

მაგრამ გერმანულ ფირმას მძლავრი კონკურენტი გამოუჩნდა — ამერიკული „ნაიკი“. პარიზის ერთ-ერთ რაიონში, „ამერიკა სენაზე“ რომ ჰქვია, საქმიანობს „ნაიკის“ სარეკლამო პარკი, ეიფელის წინ კი „ადიდასის“ „საფეხბურთო პარკი“. ჯერჯერობით ფიფას სიმპათიები გერმანული ფირმის მხარესაა. ვნახოთ, რა იქნება ხვალ. დაიპყრობს თუ არა ნაკლებადსაფეხბურთო ქვეყნის — აშშ-ის ფირმა ფეხბურთის სამყაროს. სრულიად მოსალოდნელია, რომ 12 ივლისს პირისპირ დადგნენ „ადიდასის“ ფორმაში გამოწყობილი ფრანგები და ნაიკიანი ბრაზილიელები.

მოკლედ, ასეა თუ ისე, მომჭირნეობით ცნობილი ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზაციაზე დახარჯული 3,5 მილიარდი დოლარის შემოსავლიანად ამოღებას სპონსორებით, ბილეთების რეალიზაციით და ტელეუფლებების გაცემით აპირებენ.

ნახევარფინალური მატჩების პროგნოზებს ზღვარი არ უჩანს, ძნელად, მაგრამ მაინც შეამჩნევთ, რომ ფრანგები კმაყოფილნი არიან გერმანელთა ჩამოშორებით. ხორვატია ჩვენთვის ყველაზე სასურველი ვარიანტია — ამბობენ ისინი, ამავე დროს, აფრთხილებენ ფეხბურთელებს — ცინცხალი მაგალითი ბევრი გაქვთ და მაქსიმალური მობილიზაციით იბრძოლეთო. გაიხსენეთ ფონტენი და პლატინი — მოუწოდებენ მათ.

ფრანგებს მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ — განსაკუთრებით დაცვა და ნახევარდაცვა უვარგათ. აი, შეტევის პრობლემა კი ყველას აწუხებს. თუ ემე ჟაკე ამ პრობლემას გადაწყვეტს, ვფიქრობ, ფრანგებს ფინალში თვით ბრაზილიასთანაც საკმაოდ კარგი შანსი გააჩნიათ.

და კიდევ ერთი ფეხბურთელის გამოა გაუთავებელი ლაპარაკი — ეს იური ჯორკაეფია. მას ჯერჯერობით თამაში არ გამოსდის. პრესა აღშფოთებულია, გულშემატკივრები, იურის დიდი სიყვარულის მიუხედავად, მის შეცვლას ითხოვენ. თავისი პრინციპულობით ცნობილი ემე ჟაკე კი, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებს სხვათა აზრს, ასე არ ფიქრობს. ტელეინტერვიუში მან ყველას გასაგონად განაცხადა — ჯორკაეფის მჯერა და ის ითამაშებს ხორვატებთან, მისთვის ეს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია და კარგადაც დაამთავრებს კარიერასო.

რა ვუყოთ, არ სჯეროდა ემე ჟაკეს პაპენის, კანტონასი, ჟინოლასი და გაუშვა ნაკრებიდან, აჟიოტაჟის მიუხედავად. სჯერა იური ჯორკაეფის და ათამაშებს. ამისი უგერგილობისა და აჟიოტაჟის მიუხედავად.

სჯერა და...

ცხადია, ფრანგებს ძალიან უნდათ, არა მარტო სძლიონ ხორვატებს, არამედ ფინალშიც გაიმარჯვონ, და მაშინ მათი გუნდი მასპინძელი ქვეყნის მეექვსე ნაკრები იქნება, თასი რომ დაუსაკუთრებია (ადრე ეს შეძლეს ურუგვაელებმა, იტალიელებმა, ინგლისელებმა, გერმანელებმა და იტალიელებმა).

დანიასთან უსაზური თამაშის შემდეგ ბრაზილიელთა შანსები ჰოლანდიასთან არცთუ ისე მაღალია. რონალდოს ჯერ არ „აუწყვეტია“. საკითხავია, აიწყვეტს კი? მსოფლიოს ჩემპიონთა დაცვის პრობლემები კი ცნობილი ამბავია. თუ ჰოლანდიელები შეინარჩუნებენ ურთიერთგაგებასა და უკონფლიქტობის ატმოსფეროს გუნდში (ჯერჯერობით კი ეს ჰიდინკს გამოსდის), თუ გუნდი ისეთი შემართებით, მობილიზაციითა და დისციპლინით ითამაშებს, როგორც ბოლო ორ მატჩში, შეიძლება ფინალში ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებიც ვიხილოთ. აქ ერთიცაა — ბოლოს და ბოლოს, ვან დერ სარმა უნდა აჩვენოს, რა შეუძლია.

მაშ ასე, მატჩი №61. მარსელი, 7 ივლისი. ჰოლანდია — ბრაზილია. იმსაჯებს 39 წლის ალი მუჰამედ ბუჯსაინი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან.

მატჩი №62. 8 ივლისი. პარიზი, სენ დენი. საფრანგეთი — ხორვატია. იმსაჯებს 42 წლის ესპანელი ხოსე მანუელ გარსია არანდა, რომელიც ატლანტაში ერთ-ერთი ძირითადი მსაჯი იყო.

გამოცვალე ჯორკაეფი! ამას ეხვეწება მთელი საფრანგეთი ემე ჟაკეს

სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი

	7 ივლისი			
ბრაზილია — ჰოლანდია	(1,35-2,5)	1,7	3,0	4,7
	8 ივლისი			
საფრანგეთი — ხორვატია	(1,15-4,0)	1,6	3,0	5,6

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგი

ბრაზილია — ჰოლანდია	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	2.5	10.0	20.0	3.0	5.0	9.0	15.0	8.0	7.0
საფრანგეთი — ხორვატია	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	2.0	12.0	30.0	2.5	5.0	10.0	7.0	10.0	10.0

ჩემპიონობაზე

საფრანგეთი	1.8
ბრაზილია	1.8
ჰოლანდია	4.0
ხორვატია	8.0

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ევერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

ნაპერწკლიანი სიფათი

FRANCE 98

შინისაკენ გაემგზავრა არგენტინის ნაკრები, რომლის შესახებაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ამბობდნენ, გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატიაო. არგენტინელთა მძლეველი ჰოლანდიის ნაკრების გამო ამას ბევრი არავინ ამტკიცებდა. ჰოლანდია, როგორც ყოველთვის, მაღალი კლასის გუნდი იქნება, მაგრამ ბევრით ვერაფრით გაგვაკვირვებსო.

როდესაც ასეთ გუნდებზე დაიწყებ ლაპარაკს, თავს წარსულის სახელოვანი აჩრდილები დაგეხვევიან.

როგორ გინდა არგენტინა მარადონას გარეშე წარმოიდგინო? ანდა, სიტყვა „ჰოლანდიას“ რომ ახსენებ, რა წარმოგიდგება თვალწინ? მაგრამ ფეხბურთი, ისევე როგორც ცხოვრება, გრძელდება და ფეხბურთშიც ახალ-ახალი ბიჭები მოდიან. დიადი, უკვდავი მოთამაშენი ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებიან და გუნდები და მწვრთნელები მათ ხომ არ დაელოდებიან, ესაა და ახალი კრუიფი გამოჩნდება და ჩვენს ფეხბურთს მსოფლიოში გააბრწყინებსო. ცხადია, რომ მწვრთნელი იმ ფეხბურთელებს იყენებს, რომლებიც ჰყავთ.

არგენტინის ნაკრებს ჰყავს სუცხოო ფეხბურთელები. ეს აღმოჩენა არ არის. მათ შორის საუკეთესონი ამ ჩემპიონატზე ნამდვილად იყვნენ ხუან სებასტიან ვერონი და კლაუდიო ლოპესი. არგენტინის ნაკრები ძალიან კარგად ირჯებოდა შუა მოედანზე და უჭირდა მოწინააღმდეგის კართან. უჭირდათ არგენტინელებს საკუთარ კართანაც. ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან სამში არგენტინელებმა თითო ბურთი გაიტანეს, ერთში ორი და მხოლოდ იამაიკის ნაკრები დაჩაგრეს იმდაგვარად (არ იყო მაინცდამაინც ძნელი დასაჩაგრი გუნდი), რომ ხალხს გაახსენდა, გაბრიელ ბატისტუტას გოლების გატანა ჯერ კიდევ ხსომებიაო. საკვირველი სწორედ ეს იყო, რომ არგენტინელებს თავდასხმაში უჭირდათ, თორემ შუა მოედანს მშვენივრად გადადიოდნენ და ნახევარდაცვაც მტკიცე, მოძრავი და გონიერი ჰყავდათ.

თუმცა ის, რომ პასარელას გუნდს თავდასხმაში პრობლემები ექნებოდა, თავიდანვე საგრძნობი იყო. ჩემპიონატის წინ არგენტინელებმა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ამ შეხვედრებში საკმაოდ შთამბეჭდავი სურათიც დახატეს. სამ შეხვედრას ვუცქირე — იუგოსლავიელებთან (მეორე შემადგენლობა), ირლანდიელებთან და ბრაზილიელებთან. არგენტინელებმა სამივე შეხვედრა ისე მოიგეს, რომ გოლი არ გაუშვიათ. მათი თამაშის შთამბეჭდავ იერს კი ნახევარდაცვა ქმნიდა. თითქოს, პასარელას ფეხბურთელებს მთელი მოედანი ხელში ეჭირათ. თითქოს კი არა, ასეც იყო. მაგრამ ამასთან ერთად, გამოიკვეთა ისიც, რომ არგენტინის ნაკრები არ მისდევს თავდასხმაში იმგვარ თამაშს, რომ მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ყველა შეტევისას დაძაბულობა იგრძნობოდეს. არგენტინელთა კომბინაციები მოხერხებული და მრავალსვლიანია, სისწრაფის ზრდა კი მხოლოდ ბოლო ფაზაში შეიმჩნევა, სადაც დიდ როლს თამაშობს თავად ფეხბურთელთა უნარი სწრაფად და მოქნილად გაერკვნენ რთულ სიტუაციაში. ასეთი რამ არგენტინელებს მშვენივრად შეუძლიათ და ამ ჩემპიონატზეც კი გოლების უმრავლესობა სწორედ ასე გაიტანეს. ვისაც დღევანდელი არგენტინული კლუბების ერთმანეთში თამაშისთვის უყურებია, იცის: ახლანდელ არგენტინაში სწორედ თამაშის ამგვარი სტილია მოდაში.

ამგვარი სტილი კი აშკარად ვერ არის მოგონილი გაბრიელ ბატისტუტასთვის. ჯგროში ბურთის ლოდინი და იქ გაფაციცება არ არის ბატიგოლის სტილი. ძველ არგენტინელ გენერალთა გარეგნობის პატრონი ფორვარდი აშკარად ცოდაა ამ საქმისთვის.

სამი წელიწადი ისე გაილია, რომ ბატისტუტას ნაკრებში არ უთამაშია. პასარელა სულელი ხომ არ არის? მან მშვენივრადიცოდა, რომ ბატისტუტა არ არის მხოლოდ ფეხის შემშვერი კაცი. მას ესეც კარგად შეუძლია, მაგრამ ფლორენციაში მისთვის ძეგლი იმიტომ არ აღუმართავთ, რომ ბურთს ფეხს უშვერდა. ის გუნდის ლიდერი და ბელადი იყო, გოლები კი ისეთი გაჰქონდა (და გააქვს), რომ ყოველგვარი გემოვნების და ყველაზე ჭირვეულ მაყურებელს და მწვრთნელსაც კი აანწევნებდე ხელებს. პასარელა კი ჯიუტად იმეორებდა, რომ ბატის ერნან კრესპო სჯობს. აბა როგორ სჯობს ერნან კრესპო? უბრალოდ, პასარელას ტაქტიკურ მისწრაფებებს და წარმოდგენებს კრესპო უფრო კარგად ერგებოდა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი კიფაილა კრესპოთი ხომ არ წახვალ? თანაც, ეს უკანასკნელი დაშავებულიც იყო და აი, ბატიგოლი გუნდში დაბრუნეს და უთხრეს, კრესპო გახდიო. აბა, ჩემპიონატის კვირაძალს სამი წლის ნატანჯ-ნაწვალებ და ნაშენებ გუნდს, ხელახლა ხომ არ დაუწყებდნენ შენებას და ბატისტუტაზე აწყობას?

გაბრიელ ომარ დიადი ძუნძულისთვის განირეს

ჩვენი გაბრიელ ომარი კი მაშინ არის საამო საცქერი, როცა ფართო ფრონტით შეუტევს, სიჩქარეს აკრეფს და ტემპს კარნახობს გარემოში მყოფ ხალხს. აკი გაილაღა კიდეც იამაიკასთან, სადაც ამოსუნთქვის და ნაბიჯის გადადგმის საშუალება მიეცა. ისე კი, საცოდაობაა, ბატისტუტა საჯარიმოს ხაზის გასწვრივ დაძუნძულებდეს და ელოდეს, როდის მოატყუებს არიელ ორტეგა „თავის“ ორ კაცს და როდის მისცემს „ფეხში“ მოკლე პასს. არა, ბატიგოლი აქაც იწვალებს, რაღაცას მოახერხებს, მაგრამ აი, ხომ ხედავთ, ბევრი არაფერი გამოუვიდა. და რატომ იყო საუცხოო კლაუდიო ლოპესი? ის მთელი თავისი გუნდისგან გამორჩეულად სწრაფად მოძრაობდა და მხოლოდ იმის იმედად არ იყო, რომ „იმ“ ორი კაცის „დაძინება“ ყოველთვის შეუძლია. ორტეგა ამაში დარწმუნებული იყო მაგრამ...

არგენტინის ნაკრები ხისტი, ჯეჯგვი, ჯანმაგარი გუნდის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, მაგრამ ამ თვისებების გამჟღავნებას მხოლოდ მაშინ ახერხებდა, როცა თამაში მისთვის სასურველ კალაპოტში იყო მოქცეული. არგენტინის ნაკრები არ იყო შტურმის გუნდი. ეს ინგლისელებთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. არგენტინა, რომელიც მთელი გუნდით უტევდა ინგლისის ნაკრებს და მოუღელელ დაწოლასაც ახორციელებდა, ხიფათის სურვთს კი მუდმივად ქმნიდა, მაგრამ არც ერთი საგოლე მომენტი არ ჰქონია. იმავე თამაშში გამოჩნდა, რომ არგენტინელთა ფიზიკური მდგომარეობა ყველას უკეთესი ეგონა. ასეთი კი არ ყოფილა. ინგლისელები უფრო სწრაფები იყვნენ და ეს ტემპი პასარელას გუნდს ნაღდად არ აწყობდა. არც შეეძლო ნაბიჯის ამგვარად აჩქარება.

არგენტინის ნაკრებმა ეგრეც ვერ შეძლო იმგვარი თამაშის ჩვენება ამ ჩემპიონატზე, მაისის თვეში რომ აჩვენებდა მსოფლიოს.

ამ შემთხვევაში ისევ პასარელას უნდა მივუბრუნდეთ. და ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ჩემპიონატის დიდად ჰკიდია მწვრთნელთა ჭკუასა და გამოცდილებაზე. თავისთავად ყველა ჩემპიონატიც და ზოგადად ფეხბურთიც ასეა, მაგრამ აქ განსაკუთრებულად ჩანს, რომ მწვრთნელთა შეცდომები ღუპავს გუნდებს. პასარელას შეცდომათა ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ უმჯობესია უფრო ზოგად ამბავზე ვთქვათ ორი სიტყვა.

პასარელა ყოველთვის ამბობდა, მე ჩემი ფეხბურთი მაქვს, არც ერთ არგენტინელ მწვრთნელს არ ვგავარ და არც ერთ არგენტინულ სკოლას არ წარმოვადგენო. ეს არ იყო მართალი. ის დღევანდელ არგენტინულ სკოლას წარმოადგენს. ის, რომ პასარელასთვის არც მენოტის და არც ბილარდოს გზები იყო მისაღები, სულაც არ ნიშნავს, რომ პასარელა არავის წარმოადგენს. ბოლოს და ბოლოს, პასარელას ახალი არაფერი მოუგონია. მისი მენტალიტეტის, სულიერი განწყობისა და ფიქრის ადამიანებს სახეზე სიმკაცრე აქვთ აღბეჭდილი. მკაცრია მათი საქმენიც და მათი ფეხბურთიც. არგენტინის ნაკრებზე რომ იტყოდნენ სერიოზული გუნდიაო, ალბათ, იმას თუ გულისხმობდნენ, რომ ეს იყო საოცრად გამართული და შეკრული გუნდი. რაც მათ თამაშებს ვუცქირეთ, არგენტინელებს ერთხელაც არ მომლიათ კვეშირი საათამაშო რგოლებს შორის, ერთხელაც არ არევიათ საქმე და თუკი ინიციატივის და ბურთს კარგავდნენ, ამის გამოსწორებასაც მისაბაძი წესრიგით ცდილობდნენ. მაგრამ არგენტინის ნაკრებს არ ჰქონდა ნაპერწკალი, ნაპერწკალი რეალური ხიფათისა. ეს ყველაფერი ორტეგაზე ეკიდა და მან ერთ თამაშში მოახერხა კიდეც მსგავსი განწყობის შექმნა. ამ ნაპერწკალს კლაუდიო ლოპესი ქმნიდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს ის არ არის, კაცის გული რომ შეძრას. ასე მგონია, რომ ეს ნაკლი იყო და თანაც დიდი ნაკლი.

ლამის თხუთმეტი წლის განმავლობაში არგენტინას არ ჰქონდა ნაპერწკლიანი ხიფათის პრობლემა.

რატომღაც მგონია, რომ არც პასარელას გუნდს ექნებოდა ამის პრობლემა, მწვრთნელს რომ ადრევე არ გადაეწყვიტა, ჩემი ნაპერწკალი, გინდათ თუ არა, არიელ ორტეგა უნდა იყოსო. დღეს არგენტინული ფეხბურთის ნაპერწკალი მაინც ბატისტუტა მგონია. ამ კაცს მართლა შეეძლო ცეცხლის დანთება, მაგრამ ის სხვა რამისთვის, საჯარიმოს ხაზთან ზურგით დგომისთვის გაწირეს. ეს ლოგიკური იყო. პასარელა სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან ასეთი კაცი და ასეთი მწვრთნელი გახლავთ. მას ეგებ მართლაც არ სჭირდებოდა ფერნანდო რედონდო (რომელსაც, სხვათა შორის, ასევე უხმო გასულ შემოდგომაზე), მაგრამ ბატისტუტა მას ლიდერად უნდა ექცია.

ასე მგონია და რა ვქნა?

ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი მზადაა, იტალიური „მილანიდან“ ინგლისის ბოლო სეზონის ჩემპიონის და თასის მფლობელის, ლონდონის „არსენალის“ შემადგენლობაში გადავიდეს. ეს იფორმაცია ბრიტანულმა „სანდი მირორმა“ გაავრცელა. გაზეთის თქმით, ინგლისური კლუბის თავკაც არსენ ვენგერს დიდი სურვილი აქვს, კლუივერტი იან რაიტის შემცვლელად იხილოს. ცნობილი გახდა ისიც, რომ თუ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში არგენტინელთა კარში პირველი გოლის გამტანი ფეხბურთელი „არსენალში“ გადაბარგებას მოისურვებს, მაშინ იგი კვირაში 30 000 გირვანქას (49 000 დოლარი) მიიღებს. 22 წლის ფორვარდს ინგლისური მხარე ჯერ კიდევ იანვარში შეეხმიანა, რადგან იცოდა, რომ მას მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა იტალიელ ფანებთან, მაგრამ მაშინ „მილანის“ ხელმძღვანელობამ მტკიცედ იუარა. 35 წლის ვეტერანი თავდამსხმელი იან რაიტი კი აცხადებს: „ვგრძნობ, რომ დადგა დრო, ჩემს მომავალზე დავფიქრდე. თუ „არსენალს“ ჩემი დატოვება აღარ სურს, მაშინ სხვა კლუბს მივაშურებ, წინადადება საკმაოზე მეტი მაქვს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, ასეც მოვიქცევი“.

ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელ მაიკლ ოუენით, რომელმაც ბრწყინვალედ ისასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე და არგენტინელთა კარში ულამაზესი გოლიც გაიტანა, იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ დაინტერესდა. ერთ-ერთ ტურინულ გაზეთში „ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ აღნიშნა: „ოუენის არსებობის შესახებ უკვე ორი წელია, ვიცით და გულმოდგინედ ვაკვირდებით. მის გადმობირებას ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვცდილობდით“. მიუხედავად ამისა, ოუენის ამჟამინდელმა კლუბმა „ლივერპულმა“ იტალიური მხარის წინადადება კატეგორიულად უარყო. კვლავ მოჯის მოვუსმინოთ: „დღესდღეობით მისი „იუვენტუსში“ გადმოსვლა არარეალურად მიმაჩნია, თუმცა ყველანაირად ვეცდებით, ეს გარიგება გავახერხოთ, თან რაც შეიძლება მალე“.

მიხელსი ავად გამხდარა

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი, ჰოლანდიელი სპეციალისტი რინუს მიხელსი გულის მწვავე შეტევის შემდეგ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. ექიმთა აზრით, მისი ამჟამინელი მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია. მიხელსის ახლობლების თქმით, მას გულის ტკივილები ჰოლანდია — არგენტინის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ დაეწყო, ხოლო კვირა საღამოს მის ჯანმრთელობას უკვე სერიოზული საფრთხე დაემუქრა და იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. ამასთან დაკავშირებით ფიფას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კეიტ კუპერმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „ძალიან მიხარია, რომ რინუსი უკეთაა. ჩვენ ყველანი ძლიერ ვღელავდით. ახლა კი მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, მაშინვე მოვინახულებ.“

მიხელისის ბოლო 25 წლის საუკეთესო მწვრთნელთა შორის ერთ-ერთ უპირველესია. სწორედ იგი გახლდათ „ტოტალური ფეხბურთის“ ფუძემდებელი, რომელიც ხალხმა 1974 წლის მსოფლიო პირველობაზე ჰოლანდიის ნაკრების მეშვეობით გაიცნო. მან გუნდი ფინალში გაიყვანა. მისი სახელი უკავშირდება 70-იანი წლების ამსტერდამის „აიაქსის“ ოქროს ხანასაც. აგრეთვე იგი ესპანურ „ბარსელონასაც“ ედგა სათავეში. ხოლო „გენერლის“ (მიხელსის მეტსახელი) ყველაზე დიდ წარმატებად დღესაც 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება ითვლება, როდესაც იგი „მფრინავ ჰოლანდიელთა“ მწვრთნელი იყო. სხვათა შორის, ამ 15 წლის წინ მან გულის სერიოზული ოპერაცია გადაიტანა.

ნორვეგია

სტაბეკი — ლილესტრიომი 1:1; ბოდო გლინტი — ჰაუგესუნგი 3:2; მიოლდე — ტრომსო 2:2; მოსი — ვიკინგი 0:1; სოგნდალი — ბრანი 2:1; ვოლერენგენი — რუსენბორგი 0:2.

მიოლდე	11	8	3	0	33:9	27
რუსენბორგი	10	7	2	1	31:8	23
ვიკინგი	11	7	1	3	25:15	22
სტაბეკი	10	6	2	2	16:10	20
ტრომსო	11	4	4	3	19:16	16
მოსი	11	5	1	5	12:22	16
ლილესტრიომი	10	5	2	4	16:24	14
ბოდო გლინტი	10	3	4	3	19:21	13
სტომსგოდსეტი	9	3	3	3	13:16	12
კონგსვინგერი	9	3	2	4	12:16	11
ვოლერენგენი	11	3	1	7	19:26	10
სოგნდალი	11	1	4	6	10:26	7
ჰაუგესუნგი	11	1	2	8	15:23	5
ბრანი	11	0	5	6	11:19	5

რუსეთი

გაიმართა რუსეთის ჩემპიონატის ერთი გამოტოვებული შეხვედრა: ტიუმენი — სპარტაკი (მოსკოვი) 0:6.

ზენიტი	15	8	6	1	26:11	30
სპარტაკი	14	8	4	2	25:11	28
როსტსელმაში	15	6	6	3	23:16	24
ლოკომოტივი	15	6	5	4	16:11	23
როტორი	15	5	8	2	27:19	23
ურალანი	15	6	4	5	17:14	22
ქემჩუქინა	15	6	4	5	17:16	22
ალანია	15	5	6	4	15:15	21
შინიკი	15	5	4	6	12:17	19
ტორპედო	15	4	7	4	17:16	19
ბალტიკა	14	4	7	3	14:16	19
კრილია	15	5	2	8	13:20	17
ჩერნომორეცი	15	3	8	4	19:16	17
ცსკა	15	3	5	7	16:18	14
დინამო	15	1	9	5	11:16	12
ტიუმენი	15	1	1	13	7:43	4

ახალი ქართული სიტყვა

ქართველოლოგ-ი (ქართველოლოგისა) იგივეა, რაც ქართველთმცოდნე.

ქართველოლოგია (ქართველოლოგიისა) იგივეა, რაც ქართველთმცოდნეობა.

ქართველოლოგიურ-ი (ქართველოლოგიურისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული, [illegible] ... ეუფლება ... ქართველოლოგიურ [illegible] (ახალი განათლ.»).

ქართველურ-ი (ქართველურისა) ქართველის დამახასიათებელი. [illegible] მამულის შვილი [illegible] ... ქართველი და ქართველური გრძნობა ჰქონდა..., [illegible] სიყვედილი-კი არ ესმოდა (ა. ყაზბ.). [illegible] „[illegible] ... ქართველი [illegible] (ი. გოგებ.). **ქართველურად** [illegible] როგორც ქართველს შეეფერებ[illegible] [illegible] (ბ. [illegible]). სტუმარი თავდაღუნვით [illegible]

ქართლოსიანთა ენი ძმებთან შეკრულან [illegible] (ა. აბაშ.).

ქართლურ-ი (ქართლურისა) ქართლისათ[illegible] ან ქართლელებისათვის დამახასიათებ[illegible] ქართლიდან მომდინარე, — ქართლისა. [illegible] ლური კილო.

ქართულ-ი (ქართულისა) 1. საქართველო[illegible] ქართველების კუთვნილი, დამახასიათებ[illegible] ქართული ენა. — ქართული ანბანი. — ფერ[illegible] [illegible]ში ... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართულ[illegible] ხელი ჰქვია (ი. გოგებ.). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქ[illegible] [illegible]ლი ნანა გვზრდიდა, აღგვეგავა, მტერი რისხვი[illegible] [illegible]რავი (ან. კალანდ.). 2. ქართული ენა. აკაკ[illegible] [illegible]თელს არა ერთხელ ... უმოქმედებია ... თავისი [illegible] [illegible]ლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართ[illegible] (ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას [illegible] [illegible]და ქართული (ჭ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა. [illegible] [illegible]ნუ მეძახ[illegible] [illegible]ინს ამისთანა ქართუ[illegible] [illegible]ი მოგახსენო“ (თ. [illegible] [illegible]ლი, არა ქმნას სიტყ[illegible] [illegible] **ქართულია?** რა სიტ[illegible] [illegible]**რგი ქართულია** კარ[illegible] [illegible]ამია. || სწორი ქარ[illegible] [illegible]ია. 4. ქართველე[illegible] [illegible]ული უძველესი ხალ[illegible] [illegible]ჯვ.»). **ქართულად** [illegible] [illegible]ავიკითხე, ქართულად [illegible]ამ მშვენიერი ლექსი [illegible]ლად“ (შ. დად.). [illegible] ბ ა დ რ ი ჯ ა ნ ი. [illegible] რომ არის, ისე[illegible] [illegible]. შობის წინადღე[illegible] [illegible]). კალოზე ... სა[illegible] [illegible]თუ უქარო დღეა, [illegible] || სადაც ქარი [illegible] [illegible]ი იფარება ტუ[illegible] [illegible]დატ. იხ. თ ა ვ[illegible] [illegible], ქარიანი, ავის ქცე[illegible] [illegible]ითან. თარგმ.). ◊ **ქარიანი ენა** გადატ. დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვით ვაკაცის აუგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანი.

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თ ა ვ ქ ა რ ი ა ნ ო ბ ა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანობა.

ქარიბერტყია (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა. გეავდა ტარიელ, თუ ავთანდილად ქარიბერტყია გუსარი ხმალით! (გ. ლეონ.).

ქარიზ-ი (ქარიზისა) [თურქ. ḳārīz „მიწის ქვეშა არხი“] ძვ. იხ. ღ რ უ დ ი.

ქარიფანტია (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა.

ქარიყლაპია

ქართუ —

საქმიან ადამიანთა გაერთიანება XXს-ს 90-ანი წლების საქართველოში. ეფუძნება რა ნდობის, თანაშეგრძნობა-ზისა და საიმედოობის პრინციპებს, ეს ენება მრავალმხრივ საბუნებრივ. საქმიანობას და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს მოიცავს. (დამატებითი ცნობებისათვის იხ. www.cartu.com).

ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც შთოლოდ იფიწყებენ ხოლმე, როგორც რადაც უმნიშვნელის, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის ვამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და საშსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანაშეგრძნობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც შეიძრაობაში მოიყვანს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას შთოლოდ მაშინ გააჩნია შიმავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განთვებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შეემატოთ.

ქართუ

კალათბურთი

კორაჩის თასზე მეორედ მოასპარეზე რუსთავის „აზოტი“ წილისყრამ არა და არ გააცილა ყოფილ საბჭოეთს.

აზოტის წილი შახტიორია

5 ივლისს მიუნხენში მოწყობილმა წილისყრამ კორაჩის თასის წინასწარ შესარჩევ წრეში რუსთაველებს დონეცკის „შახტიორის“ კალათბურთელები შეუწყვილა. პირველ მატჩში მასპინძლები რუსთაველები იქნებიან, წილისყრის ოფიციალურ ოქმში „16 სექტემბერი, თბილისი“ წერია, სტუმრად საპასუხო შეხვედრის დღე კი 23 სექტემბერია.

ყოფილი საბჭოეთი კი იმან გაგვახსენა, რომ შარშან, რუსთაველთა ევროდებიუტის წელს მათი მეტოქე ტალინის „ფაიერსი“ იყო. აზოტელებს რომ თუნდაც მცირე ევროპული გამოცდილება ჰქონოდათ, ესტონელთა ძლევის შანსი ნამდვილად იყო, მაგრამ...

ვისურვოთ, ის, რაც შარშან არ მოხდა, წელს იყოს!

თურმე როგორ სდომებიათ!

ახლახან, ბაქოს საერთაშორისო ტურნირის დღეებში ოპერატიულად გაუწყებდით ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრათა შედეგებს. მათ ყველა თამაში მოიგეს და ლოგიკურია პირველებიც უნდა ყოფილიყვნენ. ორიოდე დღის წინ ჩვენი კალათბურთელების თავარი მწვრთნელის ვაჟა მხეიძის ინტერვიუც გაახლეთ და მანაც იგივე დაგვიდასტურა. ამის შემდეგ კი გავრცელდა ცნობა, ქართველები მეორე ადგილზე გავიდნენ, პირველები აზერბაიჯანელები იყვნენო.

ამიტომაც გავხდით იძულებული, არაერთგზის ნათქვამს დავბრუნებოდით. მაშ, რა მოხდა ბაქოში? — ამ კითხვით მივმართეთ ჩვენი გუნდის მესვეურებს. ახალგაზრდების მეორე მწვრთნელის ზაზა ცაგარეიშვილის პასუხი ასეთი იყო:

— ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობდა, ორგანიზატორები გაცილებით მეტს ელოდნენ. აქედან გამომდინარე, თითო გუნდს სამ-სამი თამაში უწევდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სამივე თამაში მოვიგეთ და ჩემპიონებიც გავხდით, ბიჭებს გამარჯვებულთათვის დაწესებული პრიზებიც გადასცეს. მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა, ჩვენთან ტურნირის ორგანიზატორები მოვიდნენ და გვთხოვეს, იქნებ ცოტა ხანს კიდევ დარჩეთ და მეორე წრეც გავმართოთო. ამან, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა. მათ აგვიხსნეს, ქვეყნის მთავრობა კალათბურთის არანარი ყურადღებას არ აქცევს, ფედერაციას არაფრით ეხმარება. ტურნირის ხარჯებიც მთლიანად ჩვენ გავიღეთ, გვინდოდა, პირველობა მოგვეპოვებინა, იქნებ როგორმე მთავრობის გული მოვიგოთო. ჩვენთვის ეს მიუღებელი იყო და უარი ვუთხარით. ერთი რომ, ჩვენი შესაძლებლობები უკვე დამტკიცებული გვქონდა, თანაც მეორე დღეს ავტობუსს ველოდით თბილისიდან. მერე გავიგეთ, რომ ავტობუსი იგვიანებდა და ორი არაოფიციალური შეხვედრის გამართვაზე დავთანხმდით. თურქებს ამჯერადაც მოვუგეთ, აზერბაიჯანელებთან კი დავმარცხდით. იმავე საღამოს წამოვედით და შემდეგ რა მოხდა, არ ვიცით. მხოლოდ ერთს ვფიქრობ: ალბათ იმდენად დიდი იყო მასპინძლების პირველობის სურვილი, რომ ჩვენი წამოსვლის მერე გააუქმეს ტურნირის ადრინდელი შედეგები. მხოლოდ ასე შეიძლებოდა, პირველ ადგილზე აზერბაიჯანელები გასულიყვნენ. ამის თაობაზე სხვას ვერაფერს ვვარაუდობ და სხვას ვერაფერს ვეტყვით.

გიორგი ბიკაშვილი

წყალბურთი

მალტას კი მოვუგეთ, მაგრამ ფრანგებმი?

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა „ტემპს“ უმატა — სტამბოლში ევროპის ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში მოასპარეზე ჩვენმა გუნდმა, ეს უკვე გაუწყეთ, პირველ ორ შეხვედრაში მარცხი იწვნია, მესამეში კი ფრედ ითამაშა. მეოთხე მატჩში ქართველმა წყალბურთელებმა მალტელებთან პირველ გამარჯვებას მიაღწიეს, რისი წყალობითაც მათ გაუჩნდათ შანსი, რომ ქვეჯგუფში მეოთხე ადგილი მაინც დაიკავონ, რაც საგანოდ „ა“ ჯგუფში ასპარეზობის უფლებას იძლევა. თუმცა, ჩვენი წყალბურთელებისთვის ეს მეტად ძნელი იქნება, რადგან ბოლო, მეხუთე შეხვედრას ატარებენ ფრანგებთან, რომლებიც სტამბოლში ლიდერობენ.

ავთანდილ ბუკია

რაგბი

თამაში და „თამაში“

საქართველოს ჩემპიონატი

ექსპრესი 15:13 გუმარი

ექსპრესი: 2ლ. ძაგანია, რეხვიაშვილი, გ.ს. კვინიხიძე
გუმარი: ლ. ჯაველიძე 2ს. და გ. ურჯუკაშვილი

ჩვენი ვაი-ჩემპიონატის შემყურეთ კვირას როგორც იქნა, გვეშველა — „ექსპრესმა“ „გუმარს“ უმასპინძლა. თუმცა არც ამ მატჩს ეთქმოდა შველა. შეხვედრის ბოლოს ისე ჩამობნელდა, ტრიბუნებიდან თითქმის არაფერი ჩანდა. ეს, რა თქმა უნდა, რაგბის კავშირის ხარვეზია, თამაშს ასე გვიან რომ ნიშნავს, მაგრამ ბუნებამაც არ დააკლო ხელი — წვმის დაწყებამდე საშინლად მოიღრუბლა.

თავად მატჩს რაც შეეხება, „ექსპრესმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

საწყის თხუთმეტ წუთში ექსპრესელები 8:0 უგებდნენ მეტოქეს. მათ რიგებში ბესელია და ალანია გამოირჩეოდნენ. ტაიმის ბოლოს ურჯუკაშვილმა ორი საჯარიმოთი შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეორე ტაიმის შუახანს რეხვიაშვილის ლელომ გადაწყვიტა მატჩის ბედი. კვინიხიძემაც ზუსტად გარდასახა — 15:6. შეხვედრის მიწურულს „გუმარმა“ კიდევ ერთხელ მოახერხა ანგარიშის შემცირება. ხუთმეტრიანი ჯარიმა ჯაველიძემ ლელოთი დააგვირგვინა. ურჯუკაშვილმაც არ დაკარგა თავისი შანსი და ზუსტად გარდასახა, მაგრამ ეს იყო და ეს. „გუმარმა“ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

ყოჩები 88:0 თსუ

ყოჩები: 14ლ. ტყეშელაშვილი, ესაკია, საკანდელიძე (2), მხეიძე (2), ხეხელაშვილი (2), სულთანიშვილი, ურუშაძე (3), სოფრომაძე, ჭელიძე

ნეტა მეტყოდეს ვინმე, რა უნდა ვთქვა ამისთანა მატჩზე, არც ის ვიცი, რა შეიძლება ეწოდოს იმას (ვითომ თამაში?), რაც გუშინ ვარკეთილში ხდებოდა. საკითხავია: გუნდი, რომელიც „ექსპრესთან“ 19:24 აგებს, „ყოჩებთან“ ასე პირწმინდად რატომ უნდა ნადგურდებოდეს? ვითომ ისეა საქმე, რომ „ყოჩებსა“ და „ექსპრესს“ შორის ისეთი სხვაობაა, ერთი ხუთი ქულით უგებდეს უნივერსიტეტს, მეორე კი 88 ქულით, თანაც მშრალად.

გამოცანაა, ღმერთმანი!

პაატა თოთაძე

ჭიდაობა

ბრინჯაოც დაგვინყვილდა

მანჩესტერში დასრულდა 16 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. გუშინ გაუწყეთ, რომ ტურნირის ბოლო დღემდე ჩვენებს ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლების დასაკუთრება უკვე მოესწროთ, ოთხი მათგანი კი ჯერ კიდევ იბრძოდა თავის გამოსაჩენად. ამ ოთხეულიდან ერთმა, თბილისელმა ზვიად ნასყიდაშვილმა (63 კგ) ეს შეძლო — ბრინჯაო გაგვიორა. სულაც არა სასხვათაშორისოდ გაუწყებთ, რომ ზვიადს ჩვენი სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მესამე ადგილისთვის ჭიდილი წააგეს ბესიკ გოჩაშვილმა (48) და შოთა ბოლოლაშვილმა, მაგრამ მათაც და უმეტესობამ დარჩენილმა სხვა მათმა თანაგუნდელებმა თავისი წილი დაიდეს გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გასვლაში.

ირაკლი თავაძე

ფიგურული სრიალი

ფიგურული სრიალი მხოლოდ მუდამჟამს ყინულით დაფარული ქვეყნების საკუთრება როდია — ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში საქართველოსავით თბილ ქვეყნებშიც მშვენივრად გრძნობს თავს. მისი დინამიური და ამავდროულად რომანტიკული არსი ქართველთა ხასიათისთვისაც ზედგამოჭრილია. ინტერესიც გამოუჩნდა თავის დროზე მას ამდენი მიმდევარი ჩვენში. დროთა განმავლობაში იმ თაობამ თავისი სიტყვა თქვა და სარბიელი გაჭირვებასა და ახალ თაობას დაუთმო.

შეედექით მოლიპულ გზაზე!

გვირჩევს ფიგურისტი ბესო ცინცაძე

ახალი თაობა კი მართლაც ნიჭიერი მოვიდა. მათ თავიანთ უცხოელ თანატოლებთან შედარებით ყველაფერი აკლიათ ღვთითმომადლებული ნიჭის გარდა და სწორედ ამით ინაზღაურებენ დანაკლისს. სხვებისთვის საწყვნი არ უნდა იყოს, თუ ვიტყვი, რომ ამ ახალი ტალღის უდავო ლიდერი ბესო ცინცაძეა. ბესო თბილისში დაბადებულ-გაზრდილი გურული ბიჭია, გურულები კი თვით ქართველებშიც გამოვირჩევით ემოციურობითა და ტემპერამენტულობით. საუბარსა და ურთიერთობაში გულღია, მშვიდი ბუნებისა და უშუალო ბიჭში გურული ტემპერამენტი სწორედ ყინულზე სრიალისას სჭვივის და იქნებ სწორედ ამაშიც არის მისი გამორჩეულობის საიდუმლო.

ბესოს სპორტული ბიოგრაფია შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ — თბილისური, მოსკოვური და ამერიკული.

ფიგურული სრიალი მისი არჩევანი არ ყოფილა, ეს შმობლების არჩევანი იყო. 6 წლისა იყო ბესო, როცა დედამ, ქალბატონმა მზია გოგიბედაშვილმა ხელი ჩაჰკიდა, თბილისის საციგურაო სკოლაში მიიყვანა და იური კუკულაძეს ჩაბარა აღსაზრდელად. მოგვიანებით იგი „დინამოში“ გადაბარგდა ვალენტინა რეტივიხთან. სწორედ მათ ხელში გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები ყინულიან გზებზე (ამ სიტყვებში მხოლოდ სპორტული გზა არ იგულისხმება, რაზეც ქვემოთ ბესო თავად იტყვის) და რომ არ დაეცა, ეს შმობლების არჩევანთან ერთად მათი დამსახურებაცაა.

ამის შემდეგ იყო მოსკოვი, ცნობილი მწვრთნელი ელენა ჩაიკოვსკაია და სპორტული კარიერის ყველაზე იღბლიანი მონაკვეთი — 1993-95 წლები, განსაკუთრებით კი 1994, როცა ბესომ არცთუ ურიგოდ ისახელა ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებზე. იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი

წელს ბესო ცინცაძე საქართველოს ჩემპიონიც გახდა. მასთან ერთად სრიალმა ბევრი შესძინა მის ყმაწვილ მეტოქეებს

მან ამერიკას მიაშურა, თუმცა ამაზე ქვემოთ.

როგორც ვთქვი, ფიგურული სრიალი მისი არჩევანი არ ყოფილა, მაგრამ არ გეგონოთ, ამას ოდნავ მაინც ნაღვლობდეს. პირიქით, კმაყოფილიც არის შმობლების, არჩევანისა და ბედისა:

— ფიგურულ სრიალში დედაჩემს სილამაზე იზიდავდა და ამიტომაც მომიყვანა ყინულის დარბაზში. მე, 5-6 წლისას ვინ რას მკითხავდა, მაგრამ შმობლის არჩევანმა ნამდვილად გამიმართლა და ამით ძალიან მოხარული ვარ. წმინდა სპორტული თვალსაზრისის გარდა სპორტში მეცადინეობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ბავშობაში თითქმის მთლიანად დაკავებული ვიყავი და ამან ბევრ ცუდს ამარიდა, სწორ გზაზე დამაყენა და ახლა, მადლობა ღმერთს, შემიძლია სხვებს დავეხმარო. ასე რომ არ ყოფილიყო, ბევრი ჩემი თანატოლივით იქნებ ცხოვრების მრუდე გზაზე შევმდგარიყავი, რისგანაც მხოლოდ სპორტმა დამიფარა.

— დღეს ხომ არ განიცდიან შშობლები, რომ წლობით მათგან ასე შორს ხარ?

— რა თქმა უნდა, განიცდიან, თანაც ძალიან. მაგრამ ახლო მომავალში, როცა ბავშვი შემეძინება, დედაჩემს ამერიკაში წავიყვან. მინდა ჩემს შვილს ქართული ენა, ქართული წესჩვეულებები ასწავლოს და ქართველად აღზარდოს.

— რაკი შვილის მოლოდინი და ოჯახი ახსენე, იქნებ შენს ოჯახურ ამბებზეც გვითხრა...

— ახლახან დავქორწინდი. ჩემი მეუღლე, ლატვიელი იულია ლიაშენკოც ფიგურისტია, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალისანი. ერთადაც ვმუშაობთ ამერიკაში.

ბესო ცინცაძე და მისი მეუღლე იულია ლიაშენკო

მე და ჩემი მეუღლე ახლახან ჯანალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მივიღეთ. საკმაო ხანიც ვისაუბრეთ და ძალიან კმაყოფილიც დავრჩი. მინდოდა ჯვარი თბილისში დამეწერა, მაგრამ ვინაიდან ახლა მარხვაა, არ ხერხდება, თუმცა უწმინდესი და უნეტარესი დამპირდა, რომ მიშუამდგომლებს ერთ თავის ნაცნობ ამერიკელ მღვდელთან. ასე რომ, ეს საქმე ამერიკისთვის გადავდე.

— ბესო, რადგან თავად შეეხე ერთ ცნობილ ოჯახურ პრობლემას, მხოლოდ ამიტომ გთხოვ მასზე ყურადღების გამახვილებას. შერეულ ოჯახებში ყოველთვის დგას შვილების ეროვნული ორიენტაციის საკითხი. რა დასამალია და, ასეთ ოჯახებში შვილები უმეტესწილად დედის ეროვნებისკენ ამჟღავნებენ მიდრეკილებას. შენ ამის თავიდან ასაცილებლად 'თადარიგიც დაგიჭერია და საამისოდ დედას ამერიკაშიც კი უპირებ „გადასახლებას“.

— რადგან ჩემი ბავშვი ამერიკაში დაიბადება, ის უეჭველად ამერიკელი იქნება, მაგრამ მე მინდა, რომ მან სრულყოფილად და აუცილებლად იცოდეს ქართული ენა და ტრადიციები. ჩვენ უამრავი კარგი და ძვირფასი ტრადიცია თუ წეს-ჩვეულება გვაქვს — ოჯახური, საზოგადოებრივი, პიროვნული... ამერიკელებს ამ მხრივ ბევრი რამ აკლიათ. გაივლის გარკვეული დრო, დაბრუნდები საქართველოში და მინდა, ჩემმა შვილმა ყოველივე ეს იცოდეს.

— მეხუთე წელია, ამერიკაში ცხოვრობ. რას ნიშნავს შენთვის ამერიკა და როგორია იქიდან დანახული საქართველო?

— არ მინდა, ვთქვა, ამერიკაში ადამიანად ვგრძნობ თავს, აქ კი არა-მეთქი, მაგრამ იქ სახელმწიფო ყველანაირად უდგას გვერდში ნიჭიერ, ნორმალურ, საქმიან ადამიანს, ყველანაირად ეხმარება საქმიანობაში. ადამიანები იღებენ თავიანთი შრომის შესაბამის საზღაურს და ამიტომ თავს მოტყუებულებად არ თვლიან. პირადად მე ამერიკაში ცხოვრებამ მასწავლა პუნქტუალობა, მიმაჩვია მუდმივ მობილიზებას და ადამიანებთან ურთიერთობას.

— ამერიკაში კი იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოხვდი...

— იაპონიიდან ჩავედი ნიუ-იორკში, სადაც მივაკითხე მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს საციგურაო სკოლას და ვაჩვენე ჩემი ოსტატობა. მასპინძლებმა მეორე დღესვე მომიტანეს გაშზადებული კონტრაქტი და ხელის მოწერა მთხოვეს, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. ასე რომ, ამერიკაში ჩუმად, ფარულად არ წავსულვარ.

— ამჟამად სად და რას საქმიანობ?

— მაიამში არის აის-რევიუ სახელწოდებით „დისნეის სამყარო ყინულზე“, მეც იქ ვმონაწილეობ ორსაათიან თეატრალურ წარმოდგენაში „ჰერკულესი“. დაკავებული ვარ მხოლოდ პირველ ნახევარში, როცა ვასრულებ ახალგაზრდა ჰერკულესის როლს, მეორე ნახევარში კი სხვა მცვლის.

— თავისუფალი დრო ალბათ არც გრჩება.

— თავისუფალ დროს, კვირაში სამჯერ, შეგირდებსაც ვავარჯიშებ, დანარჩენ ოთხ სამუშაო დღეს კი ყოველ საღამოს მიხდება გასვლა ისეთ დიდ სცენებზე, როგორებიცაა ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენი“, ჩიკაგოს „იუნაიტედ ცენტრი“ და სხვები. ფიგურული სრიალი მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ამერიკაში ძალიან პოპულარულია. ყოველ სპექტაკლს 8-10 ათასი კაცი ესწრება. რა თქმა უნდა, ამხელა აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, თანაც ასე ხშირად, ძალიან დამღლელია, მაგრამ პროფესიის სიყვარული ყოველგვარ სიძნელეს მაძლევინებს. თან, ამხელა აუდიტორიის წინაშე გასვლა ჩემთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკაც გახლავთ. თეატრალურ სრიალს ერთობ სასარგებლო ვარჯიშადაც ვთვლი.

— და ყოველივე ეს არ იქნებოდა, თუ არა შენი მწვრთნელები. ვის ემადლიერები მათ შორის ყველაზე მეტად?

— ირაკლი ჯაფარიძეს. ამ კაცმა დიდი ბიძგი მომცა სპორტში, რისთვისაც მისი დიდი მადლობელი ვარ. ჩვენ დღესაც ვთანამშრომლობთ და იმედი მაქვს, კვლავაც ბევრს გავაკეთებთ ქართული სპორტისთვის.

— მომავლის თემასაც თავისთავად მივადექით.

— ჩემი საბოლოო მიზანია, დავბრუნდე საქართველოში და ავაშენო დიდი საციგურაო სკოლა. ამ საქმეში ჩემი ამერიკელი ნაცნობების იმედი მაქვს. ამერიკაში ბევრ საქმოსანს ვიცნობ, მინდა, ისინი უფრო მეტად დავუახლოვო საქართველოს, უფრო მეტს გავაცნო ჩვენი ქვეყანა, მისი ტრადიციები, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები დაბანდონ საქართველოში. მსურს, ამერიკელებს უფრო ახლოს გავაცნო საქართველო, რადგან იქ ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს ჩვენს ქვეყანაზე.

— ყოველივე ეს კეთილი სურვილია, მაგრამ ნუთუ სპორტული ამბიციები არ გამოძრავებს?

— როგორ არა. 1999 წელს კონტრაქტის ვადა მიმთავრდება, მინდა ამით დავასრულო თეატრალური კარიერა და სერიოზულად დავიწყო მზადება სპორტული შეჯიბრებებისთვის. ტურნირებში გამოვალ 2000 წლიდან, როცა გაიმართება პროფესიონალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა წელსვე ვაპირებ შეერთებული შტატების პროფესიონალთა ღია ჩემპიონატზე ასპარეზობას.

— გავიგე, 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზეც აპირებს სრიალსო...

— ოლიმპიადაზე ასპარეზობა და თანაც წარმატებით, ჩემი ყველაზე დიდი მიზანია. ამით დავასრულებ კიდეც სპორტულ კარიერას, რადგან ოლიმპიადის შემდეგ აქტიურ სპორტსმენობას აღარ ვაპირებ.

— ყინულზე, საქმეში თუ შეხვედრიხარ შენს პოტენციურ მეტოქეებს და როგორ შეაფასებდი შენს შანსებს ოლიმპიადაზე, სადაც შენ, შენი ოსტატობისა და გამოცდილების წყალობით, ჩვენი იმედი უნდა იყო. თანაც მაშინ 32 წლისა იქნები.

— ფიგურულ სრიალში ახალგაზრდა თაობა მოვიდა, რომელთაგან ბევრს მართლაც არ ვიცნობ. ძველებს შეეხვედრივარ და მათი არ მეშინია, მზად ვარ, ნებისმიერ მათგანს „ვეომო“, საკუთარი თავისა მჯერა. რაც შეეხება ასაკს, 32 წელი მოიგურავისთვის ნორმალური ასაკია და არც ეს მაშინებს.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), დავორ შუკერი (ხორვატია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოუუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია)

ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

წითელი ბარათები

ჰოლანდია — ნუმანი

ყვითელი ბარათები

ხორვატია — სოლდო, ბობანი, ბილიჩი, სიმიჩი, შუკერი

ბრაზილია — კაფუ — 2, სეზარ სამპაიო, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალდაირი

საფრანგეთი — გივარში, დეშამპი

ჰოლანდია — სტამი

რონალდო სათრანგეთში ცუდად კი არ თამაშობს, მაგრამ... მთელი მრაზილია მაინც იმის მოლოდინშია, როდის აიწყვეცს ჩვეულად მსოფლიოს საუკეთესო თესმურთელი. მანსიც აქვს და მერე როგორი: მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევართინალი! მოკლედ, ჰა მურთი, ჰა ჰოლანდია...



მისი სული გვსურს

იამაიკაში ჟურნალისტები და მუსიკოსები გაერთიანდნენ. ისინი მოსახლეობის 80 პროცენტის მხარდაჭერით გამხნევებულნი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების ბრაზილიელ მწვრთნელს რენე სიმოეშს სთხოვენ თანამდებობიდან არ გადადგეს და „რეგი ბოიზ“ მსოფლიოს შემდეგი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანოს.

კამპანიას, რომელიც გაზეთებმა და მუსიკოსებმა წამოიწყეს, სახელიც ჰქვია: *"Two million strong can't be wrong"*, ანუ ორი მილიონი ადამიანი შეუძლებელია ცდებოდესო.

დაწყებულია ხელმოწერათა შეგროვება. იამაიკაზე 2,5 მილიონი მოსახლეა, რომელთაგან 2 მილიონი 31 ივლისამდე უეჭველად მოაწერს ხელს ეროვნულ თხოვნას.

თურმე სიმოეში კონტრაქტის თანახმად ოქტომბერში თავისუფალი კაცი უნდა გახდეს. მას მაისში განუცხადებია, ხელშეკრულების ვადა ამომეწურება თუ არა, უთუოდ გავუყვები გზასო. მაშინ ბრაზილიელი განაწყენებული ყოფილა რაღაც სტატიაზე, რომლის თანახმადაც მას ძალიან დიდ ხელფასს უხდიდნენ.

„თუ ის არ წავა, საიმედო მომავალი გამოჩნდება“ — დაწერა ცნობილმა ჟურნალისტმა საიმონ კროსკილმა, რომელიც საფრანგეთში ახლდა „რეგი ბოიზს“ — „ის პროგრამის განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, მას ხალხი და სპონსორთა არმია უჭერს მხარს.“

სიმოეში იამაიკაზე 1994 წელს, ოთხწლიანი კონტრაქტით ჩავიდა. მსოფლიოს პირველობაზე მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ხორვატიასთან 1:3 წააგო, არგენტინასთან 1:5, იაპონიას კი 2:1 აჯობა.

გერმანელი ხულიგანი ამხილეს

გერმანიის ჰოლიციამ ორშაბათს საფრანგეთში საგმირო საქმეებით განთქმული რეციდივისტთა ბანდის ერთ-ერთი წევრი დააკავა. გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე დღის წინ გერმანია — იუგოსლავიის მატჩის დროს რამდენიმე გარეწარმა ფრანგი ჰოლიციელი, ორი შვილის მამა, 43 წლის დანიელ ნიველი კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. რკინის ხელკეტებითა და მობილური ტელეფონებით შეიარაღებულმა ორგანიზებულად მოქმედმა ხულიგნებმა საბრალო ოფიცერს თავი გაუხეთქეს და ქვაფენილზე დააგდეს. ნიველი დარტყმებისგან კომაში ჩავარდა და რომ არა ლანსელი ექიმების დროული ჩარევა, ალბათ, ცოცხალი ვერც გადარჩებოდა.

ქალაქ ჰანოვერის მოსამართლეთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაპატიმრებული ახალგაზრდა სწორედ ის თავზეხელაღებული ფანი გახლავთ, რომელმაც ჰოლიციელი დაჯრა. როგორც ცნობილი გახდა, ეჯმიტანილი ძინ, ჰამბურგის მახლობლად მდებარე ჰატარა დასახლებაში დაიჯირეს. ამ ოცდაოთხი წლის ჰიროვნებას, რომლის ვინაობის გამხელისგან გერმანული ჰოლიცია ჯერჯერობით თავს იკავებს, მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი და კარგა გვარიანი სასჯელიც ელის. დაზარალებული ნიველის ახლობლები კი გერმანელი სამართალდამცავების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ჰოლიციელის შეურაცხყოფის საზღაურად გარკვეულ დახმარებას ითხოვენ.

არ გეგონოთ, ჰოლანდიელები ცაში იმიტომ იყურებიან, ღმერთს გამარჯვებას შესთხოვდნენ. გუს ჰიდინკს და მის გუნდს პირველ ყოვლისა საკუთარი თავის იმედი აქვთ. ზემოთ კი იმიტომ გაიცქირებიან, რომ ვარჯიშიდან ვარჯიშამდე ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ვერტმფრენით გასეირნებისთვისაც მოიცალეს, მიწაზე დარჩენილები კი მათ ქვემოდან ახალისებენ

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნთელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29